რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 6 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 3 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 4

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი თვით | — 4 მან. 50 კაპ. | ექვსი თვით | — 27 მანეთი |
| ორი თვით | — 9 მანეთი. | ერთი წლით | — 50 მანეთი |
| სამი თვით | — 13 მან. 50 კაპ. | ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. | |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვთხოვთ ხელის მოწერა ნუ დააყოვნებენ.

ღრმა მწუხარებით გულდათუთქულნი: მეუღლე სოფიო ალმასხანის ასული, შვილები: ვასასი (გოგუცა) გიგინეიშვილისა, საშა, ტუფა და ლობა ჯაყელნი, ძმა გიგო ივანეს ძე ჯაყელი, დები: ელპიტი გოგიბერიძისა, ესმა შარაშიძისა და მინა ჩხიკვიშვილისა შვილებითურთ, რძლები: ვარდო, აკვირინე და ბუფე ჯაყელებისა შვილებითურთ და სიძე ნოე ხოსიას ძე გიგინეიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უეცრათ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ლეონტი ივანეს ძე ჯაყელი

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 7 იანვარს, საყვავის-ტყის ეკლესიაზე (გურია). 1—1

უბედური მშობლები: იაგორ ამბაკოს ძე და ნინა ბესარიონის ასული მახარაძეები შვილებითურთ უგულითადეს მადლობას უძღვნიან ყველა მათ ვინც გაიზიარა მათი ულრმესი მწუხარება და პირადი დასწრებით თუ წერილობით პატივი სცა მათი დაუვიწყარი და საყვარელი უდროოთ გარდაცვალებულის შვილის მე-8 კლასის მოწაფის

მარუსიას

ხსოვნას.

სახაზინო თეატრი

კვირას, 7 იანვარს დილით

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ ქართული სცენის საუკეთესო ძალების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ლალაჩი

ისტ. დრ. 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა.

მომქმედნი პირნი: ზეინაბი—ეფ. მესხი, ოთარბეგი—ვალ. გუნია, სულეიმანი შ. შარაშიძე, გაიანე—ტასო აბაშიძე, ბესო—ვასო აბაშიძე, ისახარი—ელ. ჩერქეზიშვილი, რუქაია—თ. გოგოლაშვილი, ანანია—ე. გამყრელიძე, დათო—ალ. იმედაშვილი, ერეკლე—ი. ქივიძე, ყარა-იუსუფი—ვალ. შალიკაშვილი, მაიკო—ნ. ჯავახიშვილი, საბა ბერი—ი. ივანიძე და სხვა.

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში. დასაწყისი შუადღის 1-ლის ნახ.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი. გამგე ი. ქივიძე.

თეატრი ნაძალადევი

კვირას, 7 იანვარს 1918 წ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

ყაჩაღები

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. ცამციაშვილი, ბ-ნნი ა. გოგაშვილი, ი. კანდელაკი, ს. თევზაძე, გ. გაბინაშვილი, ა. ძაძამია, ე. კაციტაძე, გ. სვანაძე, ბ. ბაკურაძე, გ. კუტალაძე, ვ. გაგავა, ნ. კუტალაძე, კ. ხავთასი, გ. ხუბაშვილი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი ი. კანდელაკი.

1—1 გამგე კ. ქუთათელაძე.

ჭიათურის

უმაღლეს დაწყებითი სავაჭრო სასწავლებლისათვის

საჭიროა ხატვა-ხაზვის მასწავლებელი.

პირობები: ჯამაგირი 1800 მ. სამხედრო დამატება 1200 მან., ხუთწლიანი დამატებები. გაკვეთილების რიცხვი 22 კვირაში. თხოვნები საცენზო დოკუმენტებით და Curriclum vitae უნდა გაიგზავნოს სასწავლებლის ინსპექტორის სახელობაზე 15 იანვრამდის. 3—3

1918 წ. იანვრის 7 თფილისში გამოვა ჟურნალი

„ახალი კვალი“

ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.

თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიანთ: 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს მოწოდებული, რათა ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე გთხოვთ დაგვეხმაროთ მატერიალურათ და მოგვაწოდოთ მასალები.

ჩვენი მისამართი ჯერ-ჯერობით შემდეგია: Тифлисъ. Вера. Матеріальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

## განცხადება.

თფილისის საქონლის სადგურის ხელის მომწერლების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ვისაც ქვიტნიციები აქვთ გაზეთ „ერთობის“ ფული არ გადაგიხდიათ გთხოვთ დაუყონებლივ შემოიტანოთ, ვინც არ შემოიტანს 15 იანვრამდე მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოცხადდება.

პატივისცემით საშა ჩიგოგიძე.

## შინაურ ფრონტზე

რამდენითაც უფრო ირღვევა რუსეთის მთლიანობა და თითქოს ნიადაგი ეძლევა ნაციონალისტურ ოცნებას საქართველოს გამოყოფის შესახებ, იმდენათ უფრო იმაღლებენ ხმას ადგილობრივი სამულიშვილები, რომელნიც დღემდე რევოლიუციონურ ნიღაბ ჩამოფარებული დაიარებოდენ.

დღეს მათ საჭიროთ აღარ მიაჩნიათ თავის შავი გულის ზრახვანი დაფარონ და სააშკარაოზე გამოაქვთ თავის ნამდვილი მისწრაფებები.

რეაქციონერები ყველა ერში მოიპოვებიან და ყველა ჯურის რეაქციონერთ ერთი და იგივე თვისებები აქვთ: მთელი თავისი ძალა და ენერგია მიმართონ დემოკრატიის და მისი ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის დამხობა—იმავე დროს არის დამხობა რევოლიუციონური ციხე-სიმაგრის, გატეხა დემოკრატიის იმედების, დაწყლულება მისი გულის და ასე ნიადაგის მომზადება თავის საბატონოთ და სათარეშოთ.

ამ ჩვეულებრივ საშვალებას არ ერიდებიან ჩვენი მამულიშვილები. „საქართველო“, „სახალხო საქმე“, „ვოზროჟდენიე“ და სხვ. ჩვენ პოლიტიკურათ ბეც ბალშევიკებთან ხმა შეწყობილათ ილაშქრებენ ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც უმთავრესათ სოციალდემოკრატიულ პარტიის გავლენას ექვემდებარება.

რა გინდათ, რომ მას არ უწუნებენ.

ფედერალისტები, რომელნიც სწორეთ სოციალ-დემოკრატიის წყალობით თვითონაც მონაწილეობენ შიგ, არ მოსწონთ არც შედგენილობა, არც მიზანი და შინაარსი ამ კომისარიატის. იგინი თხოულობენ მის დაუყონებლივ გადაქმნას. კავკასიის მთლიანობის დაცვა—ეს მათი აზრით უდიდესი უბედურებაა. ასეთ მთლიანობის დაცვამ დაამხო თურმე ძველი რეჟიმი და იგი დაამხობს კავკასიის კომისარიატსაც. ეს ასე ვთქვათ იდეოლოგიური და გარეგნულათ თითქოს რევოლიუციის გულშემატკივრობით გამოწვეული კრიტიკა—ნამდვილათ განმეორებაა ამ დღეებში „ვოზროჟდენიეს“ მამულიშვილთა გულახდილი და აშკარა ბრძოლის ამავე კომისარიატის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ უკვე გვქონდა გაზეთში აღნიშნული. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ „ვოზროჟდენიე“-ს პუბლიცისტებს აშკარათ არ მოსწონთ კომისარიატი და მის დასამხობათ თვალნათლივ იბრძვიან. მათ არ სწამთ არც სოციალიზმი, არც დემოკრატიზმი და მზათ არიან თათრები და ქართველებიც კი მიუსიონ ერთმანეთს „ქართველ“ სოციალ-დემოკრატიის პრესტიჟის დასაცემათ. მარა „სოციალისტური“ „სახალხო საქმე“ ასე აშკარა გამოსვლას ვერ ჰბედავს და ფედერალიზმის პრინციპებს იშველიებს იმავე მიზნის მისაღწევათ, „ორჭოფ“ და „რყევას“ შეჩვეულ მენშევიკების წინააღმდეგ.

არა ნაკლებ აწუხებთ იმათ ისიც, რომ ეს კავკასიის კომისარიატი, რევოლიუციურ ცენტრებს ექვემდებარება და არა ეროვნულ საბჭოებს, სადაც მათ იმედი აქვთ თავის ნაციონალისტურ ჭიკჭიკს გასავალი მოუპოვონ.

„ვოზროჟდენიე“-სა და „საქართველო“-ს ასეთ ეროვნულ მისწრაფებებს ერთი დიდი სოციალური ხასიათის მიზეზიც უდევს საფუძვლათ. ესაა აგრარული საკითხის გადაჭრა. მიწების ჩამორთმევა მემამულეებისთვის—მათთვის უდიდესი ანარქიის წარმომშობი საშუალებაა და ამიტომ დაგმობილ უნდა იქნეს. მის გატარებას იგინი ისევე ეწინააღმდეგებიან, როგორც თათრის ბეგები და სომხის ეკლესიის მესვეურნი. აქ მათი გულის ტკივილის ნამდვილი მიზეზი ყველასთვის აშკარა და თვალსაჩინოა.

მარა ჩვენ არ გვეგონა, თუ ამათ ხმას ბ. ა. ჯაჯანაშვილიც შეუერთდებოდა. მანაც, მიუხედავათ იმისა, რომ მისი პარტიული თანამოაზრე, როგორც წევრი კომისარიატის, აგრარულ დებულებას ხელს აწერდა, მაინც ამ დებულების წინააღმდეგ გაილაშქრა.

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თათრის ბეგები იმოწმებენ დამფუძნებელ კრებას,—მას აქვს მხოლოდ ასეთ კანონის გამოცემის უფლებაო;—ა. ჯაჯანაშვილი კი იმოწმებს ავტონომიას, მხოლოდ ავტონომიების ეროვნულ ფარგლებში შეიძლება ასეთი კანონის განხორციელებაო.

საერთოთ კი ორივე სხვადასხვა საბუთებით ამ რეფორმის გადადების საჭიროებას თხოულობს.

ასეთია ამ „სამთა ძმათა“ შეხმატკბილებული კრიმანჭულები და ჩვენ ვამბობთ, რომ დადგა დრო, როცა კავკასიის მშრომელმა ხალხმა ხმა უნდა აღიმაღლოს ყველა ამათ წინააღმდეგ.

რეაქციის საფრთხე უნდა ვეძიოთ არა მარტო რუსეთის ბურჟუაზიის და მემამულეების წიაღში. იგი უკვე ფეხს იდგამს ჩვენშიაც. დღემდე მიყუჩებული იგი პირველი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმისთანავე—წამოდგა და საომრათ ირაზმება.

სიტყვიერ ომს პრესაში ეხმაურება უფრო რეალური ბრძოლა სოფლებში, სადაც შავრაზმელების გუნდები გლეხებზე თავდასხმას და ანარქიის ალში სოფლის ჩახრჩობას ესწრაფვიან.

შავრაზმელები და მათი უნებლიეთ ხელის შემწყობნი, მათი შეგნებული, თუ შეუგნებელი ამქრები ირაზმებიან. დემოკრატიამ უნდა მათ თავის მტკიცე რევოლიუციური შეგნება და მჭიდრო ორგანიზაციები დაუპირდაპიროს. სოციალურ რეფორმებს—როგორიცაა მიწის ჩამორთმევის საკითხი უბრძოლველათ არ დასთმობენ მემამულენი და მათი დამცველნი. დემოკრატიამ უნდა თავის ძალით და შეკავშირებით შესხას ხორცი და სისხლი აგრარულ დებულებას და იგი ცხოვრებაში განახორციელოს. მან უნდა ერთი-ორათ გააძლიეროს ძმური კავშირი ერთა შორის, დაანახოს ყველა ერის მუშებს და გლეხებს საჭიროება ერთათ ბრძოლის ყველა მდიდართა და მსხვილ მემამულეთა წინააღმდეგ და ამით ალაგმოს დაწყებული რეაქციონური მოძრაობა კავკასიაში.

## ზავის საკითხი

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია კავკასიის საბჭოთა შეერთებულ ცენტრის რეზოლიუცია ოსმალეთთან ზავის შეკვრის შესახებ.

ბალშევიკების გამოსვლით შექმნილმა ანარქიამ ამიერ-კავკასიის მთავრობა იძულებული გახადა ამ ერთი თვის წინათ დამოუკიდებელი მოლაპარაკება გაემართა ოსმალეთთან.

ამასთან კომისარიატმა ცენტრის დავალებით გადასწყვიტა ემოქმედა თანხმობით ყველა არსებულ მთავრობებთან და თავის მოქმედებით ხელი შეეწყო საერთო ზავისთვის.

მოლაპარაკებას შედეგათ მოყვა დროებითი შერიგების მოხდენა, საომარ მოქმედების შეჩერება.

დღეს ოსმალეთი ახალს წინადადებას იძლევა დაიწყონ მოლაპარაკება საბოლოვო „ლოკალური“ ზავის ჩამოსაგდებათ, რისთვისაც ის თხოულობს მიიღონ მისი დელეგაცია ქ. თფილისში, როგორც „დამოუკიდებელ კავკასიის სატახტო ქალაქში“.

ნათქვამია, დიპლომატებს ენა იმისთვის აქვთ, რომ თავისი აზრი დამალონ. ჩვენ არ ვიცით, რა მოსაზრებით თვლის ოსმალეთი კავკასიას დამოუკიდებელ სახელმწიფოთ და თფილისს ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქათ. პირველ საზავო მოლაპარაკების დროს ამის საბუთი ოსმალეთისთვის ჩვენ არ მიგვიცია.

რაც უნდა იყოს, ერთი ცხადია: ამიერ-კავკასიის დემოკრატიას არა თუ არ სურს რუსეთის დემოკრატიის ჩამოშორება, პირიქით, ჩვენი დემოკრატია მოუთმენლათ მოელის იმ მომენტს, როცა რუსეთის დარღვეულ რევოლიუციონურ ფრონტს კვლავ აღადგენს და ძმათა შორის სამარცხვინო ომის ალაგს შინაურ ცხოვრების გარდაქმნის საკითხი დაიჭერს. ცენტრის ყრილობამ ეს ხაზ-გასმით აღნიშნა. მან კომისარიატისთვის სახელმძღვანელოთ შედგენილს ინსტრუქციაში აღნიშნა, რომ საჭიროა შეთანხმება ყველა ორგანიზაციებთან, მათ შორის სახალხო კომისართა საბჭოსთანაც.

დემოკრატიის შეერთებას ნიადაგი უკვე მომზადებული აქვს. 5 იანვრისთვის დანიშნული იყო დამფუძნებელ კრების გახსნა. ბალშევიკების მთავრობისაგან ჩვენ არ მოველით გონივრულ პოლიტიკის წარმოებას, მაგრამ დღეს ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ არა გვგონია ბალშევიკებმა გაბედონ დამფუძნებელ კრების გარეკა, და თუ უგუნურებას ჩაიდენენ და ხალხის ნება-სურვილების გამომხატველს ორგანოს შეებრძოლებიან, ჩვენი ვალია დავიცვათ დამფუძნებელი კრება და დემოკრატიულ ფრონტის აღდგენას ხელი შევუწყოთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბალშევიკების საფრთხე ისე საშიში არ არის დღეს, როგორც ჩვენი მოკავშირეების ნებასურვილები. ბალშევიკებს შინაური ძალღონით მოვუღებთ ბოლოს, მათი გავლენა საბოლოვოთ გაქრება როგორც კი გამოირკვევა მათი მოქმედების დემაგოგიური სარჩული. ბალშევიკების დაცემის აშკარა და უტყუარი ნიშნები უკვე ჩანს.

ყველაზე უფრო ძნელი და თავსატეხი საკითხია ჩვენთვის ზავის საკითხი.

ყველასთვის აშკარაა დღეს, რომ რუსეთს ომის წარმოება აღარ შეუძლია. მას რომ მარტო მეომარ სახელმწიფოებთან ქონდეს საქმე სხვაა, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ რუსეთს წინ ეღობება მოკავშირეების სურვილები. ეს სურვილები გამოხატულია ამერიკის პრეზიდენტის ვილსონის საპროგრამო სიტყვაში. ვილსონი სამართლიანობას მოითხოვს, ხოლო ეს „სამართლიანობა“ ბურჟუაზიულ ჩარჩოებს არ შორდება. მოკავშირეები არ კითხულობენ, თუ რა სურს ხალხს, ისინი ითხოვენ საზღვრების გასწორებას, სხვათა შორის ითხოვენ საფრანგეთისთვის ელზას-ლორენის დაბრუნებას და ოსმალეთის დაყოფვას. ეს კი ნიშნავს ომის გაგრძელებას საანექსიო მიზნებისთვის.

დემოკრატია ამას ვერ შეურიგდება. ჩვენ ყოველგვარ შესაძლებლობის წინ ვდგევართ. ამიტომ საჭიროა მთელი ძალების მოკრება და დემოკრატიულ ცენტრის გაძლიერება.

ჩვენ ვერ გვიხსნის ვერც იარაღის ჩხარა-ჩხური და ვერც რევოლიუციონური ფრაზები.

ჩვენი ძალა ერთობაშია. ასეთი ერთობის გამომხატველი იქნება დამფუძნებელი კრება. ამიტომ ზავის საკითხი უნდა გადაეცეს დამფუძნებელ კრებას და საზავო მოლაპარაკება უნდა აწარმოვოს ამ კრების მიერ არჩეულმა რწმუნებულებმა.

ამიერ კავკასიის კომისარიატი კი ამ მოვალეობის ასრულებას იკისრებს მაშინ, როცა ის საამისო დირექტივებს მიიღებს.

მაგრამ რადგანაც დამფუძნებელ კრების მდგომარეობა გამოურკვეველია და ზავი კი აუცილებელია, კომისარიატი ამ თავითვე უნდა შეუდგეს მოლაპარაკების გამართვას ყველა არსებულ მთავრობებთან რუსეთში, რომ საერთო თანხმობით დაამყაროს საბოლოვო ზავი.

## ეკონომიური პოლიტიკა

საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები საქართველოს ეკონომიურ დაქვეითებას მოსთქვამენ და ეს „სწორუპოვარი ეკონომიურ პოლიტიკის მატარებლები“ შესაფერ ზომებსაც ეძებენ.

ამ ჟამათ ბრძოლის ასპარეზზე კვლავ მოგვევლინენ არჩილ ჯორჯაძის ტიპის ეკონომისტები და საქართველოს მომავალ ეკონომიური განვითარების შესახებ პროექტებს სთხზავენ. აქ პირველობა, როგორც მოსალოდნელი იყო ბ. თედო ღლონტს ხვდა და ისიც ამ მოვალეობას თავისებური ერთგულებით ასრულებს. ბ. თედო ღლონტი—სოციალ-ფედერალისტების ეკონომისტი—საქართველოს ეკონომიურ განვითარების პრობლემას ეხება და როგორც სოციალ-ფედერალისტებს შეჰფერის ისეთს პროექტებს იძლევა. რასაკვირველია, აქ ბ. თედო ღლონტს ორიგინალობას ვერ დავწამებთ, მის „საგანგებო“ წერილში „ეკონომიური პერსპექტივა“ (იხ. „სახ. საქ.“ № 137) უშნოთ განმეორებულია აწ განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის გამოუსადეგარი ეკონომიური შეხედულება, რომელიც ათი-თუთხმეტი წლის წინათ ქართველ მუშებს მოუწოდებდა თავიანთ კლასობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ხელი აეღოთ, ხელფასის მომატებაზე უარი ეთქვათ და ამ გზით გაედიდებიათ ნაციონალ-ბურჟუაზიულ კლასებისათვის ნაციონალური კაპიტალი. ერთი სიტყვით არჩილ ჯორჯაძე ქართველ მუშებს ურჩევდა, რაც შეიძლებოდა ზედმეტი ღირებულება შეექმნათ ქართველ კაპიტალისტებისათვის და თითონ კი თავიანთ მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებიდან, რაც შეიძლება ნაკლები მიეღოთ.

აი ეს წმინდა ბურჟუაზიული თვალსაზრისი ბ. თედო ღლონტს სავსებით შეუთვისებია და იგი ეხლა მოდგომია ქართველ მუშებს და სახარებას უკითხავს: თქვენ ხელი უნდა აიღოთ ხელფასის მომატებაზე, სამუშაო დროს შემცირებაზე და მუყაითი შრომის მეოხებით, რაც შეიძლება ზედმეტი ღირებულება შექმენ ქართველ მრეწველ-კაპიტალისტების სასარგებლოთ, რომ ამ გზით უკანასკნელებს საშუალება მიეცეთ ნაციონალური წარმოება გააძლიერონ და რაც შეიძლება მეტი კაპიტალი დააგროვონ.

აი ის მარტივი და ფედერალისტების გულში ნადები ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ასე გაბედულათ მოითხოვს იგი ბ. თედო ღლონტის პირით.

სოციალ-ფედერალისტების უბადრუკი იდეოლოგი ბ. თედო ღლონტი იმედოვნებს საქართველოს მომავალი ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას მხოლოდ მუშათა კლასის მოთხოვნილების შეკვეცით, ხელფასის შემცირებით და სამუშაო დროს გაგრძელებით. მაგრამ მის ასეთ ზომას თურმე წინ ეღობება ქართველი მუშათა კლასი და მისი ერთადერთი ინტერესების დამცველი ს.-დ. პარტია. ამიტომ მთელი ნაციონალისტების ძალა მათ წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული. ამ სახით მუშათა კლასის დატუქსვა მათი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნების შემუსვრა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამხობა—აი რა ზომები ყოფილა საჭირო, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიური ცხოვრება უაღრესათ განვითარდეს და ქართველმა კაპიტალისტებმა განვითარებულ ქვეყნების მრეწველთა მეტოქობა თავიდან აიცდინონ.

ამას მოითხოვს „სოციალისტური“ პარტია სოციალისტ-ფედერალისტები და მისი უტყუარი დამცველი ბ. თედო ღლონტი.

ჩვენ პირველათ გვესმის, რომ რომელიმე სოციალისტური პარტია, რომელიმე ქვეყნის სოციალ-დემოკრატია ნაციონალური წარმოების აღორძინებისათვის ასეთ გზას ადგეს და პოლიტიკური სოციალისტური პარტია ბ. თედო ღლონტის რეცეპტისამებრ იქცეოდეს. ვთქვათ დროებით სოც.-დემოკ. დაეთხოვენ ჩვეულებრივ პოლიტიკას და თედო ღლონტის ფეხის ხმას აყვენ და ქართველ მუშებს მოუწოდეს, რომ მათ სამუშაო დრო გააგრძელონ, ხელფასი შეამცირონ და მით ქართ. კაპიტალისტების, ანუ მრეწველების მოგება—ზედმეტი ღირებულება გაადიდონ. მერე განა ქართველ მწარმოებლების სამრეწველ...

...ში მარტო ქართველები მუშაობენ და ამუშავებენ? ნეტა, როგორ მოახერხებს ბ. თედო ღლონტი სხვადასხვა ერის ხალხები ქართველ მრეწველთა კაპიტალის სასარგებლოზე მსხვერპლათ მიიტანოს.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ და გადავხედოთ პირდაპირ სამრეწველო დარგის განვითარებაზე. ჩვენ, მარქსისტები, მუდამ და ყოველთვის იმ აზრისა ვყავით, რომ ეკონომიური ცხოვრების მოთხოვნებისათვის საჭიროა საწარმოვო ძალთა განვითარება, საწარმოვო ტეხნიკის გაუმჯობესება და მუშათა კლასის ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაძლიერება, კაპიტალი ძირითადი და მოძრავი, კაპიტალის ანუ სამუშაო ქირისათვის გადადებული თანხის ზრდა. საწინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოვო ტეხნიკა დაბალ საფეხურზე ჩერდება და იგი პრიმიტიულ წარმოების ურთიერთობას აბატონებს.

თუ ჩამორჩენილ ქვეყნების კაპიტალისტები ძირითად თანხას, ე. ი. საწარმოვო ტეხნიკას არ აუმჯობესებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გულუხვათ მოეპოვებათ მუშა ხელი, მრავალი დაქირავებული მუშები. თუ ბ. თედო ღლონტის პროექტის მსხვერპლი გავხდით, მაშინ ჩვენ—სოციალ-დემოკრატები ხელოვნურათ უნდა შევეცადოთ, რომ მუშა ხელის მოთხოვნილება შევამციროთ, ხელფასი შევამციროთ და სამუშაო დრო გავაგრძელოთ. უკანასკნელი ზომა კი ისედაც განუვითარებელ საწარმოვო ტეხნიკას ხანგრძლივათ სახელოსნო წარმოების ნიადაგზე შეაჩერებს და მით წარმოების ტეხნიკის განვითარებას უარყოფს.

მაგრამ ბ-ნ თედო ღლონტის ასეთ პროექტს ჭკვათა მყოფელი ეკონომისტი, განსაკუთრებით სოციალისტი, არ გაიზიარებს და თუ მის რეცეპტებს სოც.-ფედერალისტების ბანაკში გასავალი აქვს, ეს მათმა „სოციალისტურ“ სინდისმა [illegible]ს.

# ორი გზა

ზავის შესახებ მეტათ უნუგეშო ამბები მოდის. რამდენათაც იხრწნება და ილევა ფიზიკური ძალა რუსეთისა — ჯარი — იმდენათ უფრო დაუნდობელი ხდება გერმანიის იმპერიალიზმი, იმდენათ უფრო იმაღლებს იგი ხმას და წარბშეუხრელათ აყენებს ახალ-ახალ მოთხოვნილებებს, რომელთა მიღება შეუძლებელია.

სრული დამონება რუსეთის, გასრესა რუსეთის დემოკრატიის, დამხობა რევოლიუციის და თავისუფლების — აი რას უქადის გერმანიის და მის მოკავშირეთა მადა-გაღვიძებული მთავრობა რუსეთის რესპუბლიკას.

მერე რა არის ამის მიზეზი?

ან რაშია ხსნა?

ორი გზა იყო ზავის მოსაპოვებლათ, რომელიც ასე სწყუროდა ხალხს, დემოკრატიას, და რომლისთვისაც შეიარაღებულმა დემოკრატიამ ჯარის სახით ასეთი მხურვალე მონაწილეობა მიიღო ძველი რეჟიმის დამხობაში. ერთი გზა—ესაა ევროპის მუშათა კლასთან შეთანხმება, მასთან ხელიხელ ჩაკიდებული სვლა, მუშათა საერთაშორისო ურთიერთობის აღდგენა ყველა სახელმწიფოებში, როგორც ჩვენს მოკავშირეებში, ისე მოწინააღმდეგეებში შინაური ცეცხლის გაჩაღება და ამ რიგათ იმპერიალისტთა დაწყებული სისხლის ღვრის ხალხის ნება-სურვილით დათავება.

ამ გზას ადგენ პირველი მუშათა და სალდათთა საბჭოები. ამ გზას ადგა 14 მარტის ისტორიული მოწოდება.

მარა ეს ზავის გზა იყო გრძელი და ძნელი. ევროპა ჯერ კიდევ არ მისულა იმ წერტილამდე, იგი იმდენათ არ გამოფიტულა ეკონომიურათ და არ მოქანცულა, როგორც ჩამორჩენილი რუსეთი. ამიტომ რევოლიუციური ქარიშხალის ატეხა ევროპაში არც თუ ისე ადვილი შეიქნა. მოძრაობა ევროპის მუშების, ნელნელა და თანდისთანობით ვითარდებოდა. ამიტომ ეს ინტერნაციონალური და დემოკრატიული გზა მოითხოვდა დროებით ფრონტზე გამაგრებას, იმპერიალისტთა უხეშ ძალისთვის—რევოლიუციური ჯარის ფიზიკურ ძალის დაპირდაპირებას. და აი ამ ორკეცი მოვალეობის ასრულება ვერ შესძლო რუსეთის დემოკრატიამ. იგი უფრო სულმოკლე გამოდგა. ამრიგათ ინტერნაციონალური, სოციალისტური საშუალება ზავის ჩამოგდების არ განხორციელდა. ამიტომ დარჩა მეორე გზა—პირდაპირი მოლაპარაკება მებრძოლ მთავრობებთან. ეს გზა აირჩია ბალშევიკებმა, რომელნიც რუსეთის ჯარის სულმოკლეობას იდეოლოგებათ მოევლინენ. უკეთ რომ ვსთქვათ, ამ გზაზე იძულებული გახდენ იგინი შემდგარიყვნენ, რადგან მასსას დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას დაპირდენ.

ამრიგათ გაიმართა ის მოლაპარაკება ზავზე, რომელმაც დემაგოგიურ წუთიერ ბატონობის სურვილის ნიადაგზე საბოლოოთ მოშალა ჯარის ზნეობრივი ძალა და გუშინ რევოლიუციის მოტრფიალე მებრძოლნი, დღეს შინ გაქცევის მოტრფიალეთ გახადა. ამით საფუძველი გამოეცალა თვით ბალშევიზმის საზავო მოლაპარაკებას. ევროპის დემოკრატიას კი არაფერი შემატებია, პირიქით დააკლდა კიდეც. მათ გული უფრო გაუტყდათ რუსეთის რევოლიუციაზე. ევროპის მუშათა კლასს ძალიან ცოტას ეუბნება ის საყვედურები, რომელსაც მათ ტროცკის მთავრობა უძღვნის ყოველ ფეხის ნაბიჯზე: ჩვენ ჩამოვაგდეთ მთავრობა, სოციალიზმის განხორციელება გვინდა და გამოგვყევით. ეს სიტყვები მით უმეტეს არ ახდენენ გავლენას, რომ ამის მთქმელნი ევროპის იმპერიალისტებს ესაუბრებიან ზავზე და არა ევროპის სოციალისტურ მუშებს. გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთს ამ ჟამათ მაინც არავითარი შინაგანი ძალა არ მოეპოვება თავის დასაცველათ. იგი ერთიანათ დამოკიდებულია გარეშე პირობებზე. მართალია ბალშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ რაკი კერენსკის მთავრობის ნაცვლათ ლენინ-ტროცკის მთავრობა წამოსკუპდებოდა, ევროპის პროლეტარიატი იმ წუთსვე აისხამდა იარაღს სოციალურ რევოლიუციის მოსახდენათ.

მარა ასეთი სასწაულების მოლოდინი არ გამართლდა.

ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ რუსეთში საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმას სოციალისტურ ექსპერიმენტების მოსახდენათ **წინ უნდა უძღოდეს** ევროპის მუშათა რევოლიუციონური ამოძრავება ამავე მიზნის მისაღწევათ, ე. ი. იქ სოციალისტური რევოლიუციის დაწყება. ლენინ-ტროცკის უტოპიურმა გატაცებამ ეს ფორმულა უკუღმა დააყენა, ბალშევიკებმა თვით მოინდომეს ევროპისთვის სოციალიზმის ბედნიერება ხონჩით მიერთმიათ და ამ საოცნებო და არსებითათ შეუძლებელი მიზნით გატაცებულებმა დაჰკარგეს ისიც, რის მიღწევაც რუსეთს შეეძლო: დაჰკარგეს საშუალება პატიოსანი დემოკრატიული ზავის ჩამოგდების.

რასაკვირველია, რუსეთის რევოლიუცია ახდენდა და ახდენს გავლენას ევროპის მუშათა კლასზე და მასში მოძრაობის ალის გაღვივებაზე, მარა ეს გავლენა იმდენათ მეტია, რამდენათ დიდია ძალა თვით რუსეთის რევოლიუციის. ამ ძალის დასუსტებით და დემოკრატიის გათიშვით ლენინ-ტროცკის მთავრობა თავის ხელით სჭრის იმ ტოტს, სპობს იმ ძალას, რომელზედაც უნდა ეყრდნობოდეს. ამით ხელს უწყობს ევროპაზე თავის გავლენის შესუსტებას და ევროპის მუშათა ოცნება-იმედების ფრთების შეკვეცას.

ამრიგათ ის უტოპიური მიზნები, რომელსაც ლენინ-ტროცკი ისახავს თავიდანვე განწირულია. და ამით სამწუხაროთ განწირულია თვით საკითხი დემოკრატიული ზავის. საგარეო პოლიტიკა აქაც, როგორც ყველგან მჭიდროთ დაკავშირებულია შინაურ ძალასა და საშინაო პოლიტიკაზე და მათი განცალკევება ლენინ-ტროცკის ალქიმიკოსობას არ შეუძლია.

აქედან იბადება საჭიროება შინაური პოლიტიკის შეცვლის, საერთო დემოკრატიულ ფრონტის გაერთიანების, რევოლიუციის გაძლიერების. ამით და მხოლოდ ამით შეიძლება რამდენიმეთ მაინც შემსუბუქება საზავო პირობების სიმძიმის და ეს როლი უნდა იკისროს დამფუძნებელმა კრებამ. ამ უკანასკნელის არსებობა, გაძლიერება და გაბატონება ერთათ ერთი იმედია გაფუჭებული საქმის რამდენიმეთ მაინც გამოსწორების.

ჩვენ ზავი არ გვექნება—თუ არ შედგა და არ განმტკიცდა დამფუძნებელი კრება. ან გვექნება ზავი, რომელიც მხოლოდ მონობაა გერმანიის იმპერიალისტების აუტანელ უღელ ქვეშ, ესე იგი თვით გავხდებით უმწეო მსხვერპლი იმ კაპიტალისტური გაუმაძღრობის, რომლისგან საბოლოო განთავისუფლებას გვიქადდა ლენინის მთავრობა.

ზავი—მჭიდროთაა დაკავშირებული დამფუძნებელ კრებასთან. და ვინც პირველის მოტრფიალეა, ის მეორეს უნდა დაუდგეს მცველათ და დარაჯათ. მხოლოდ ამაშია ერთათ ერთი გზა ხსნისა, რომელიც რამდენიმეთ მაინც მოგვცემს საშუალებას გარეშე ბატონობისაგან განთავისუფლებულთ, მთელი ჩვენი ძალღონე შინაურ რეფორმებს—თავისუფლების და რესპუბლიკის განმტკიცებას მოვანდომოთ.

# პრესსა

გაზეთ „ფაიქარში“ პიჩიკიანი სწერს: „სომეხთა ლიბერალურ და ნაციონალ-დემოკრატიულ გაზეთებში ამ უკანასკნელ ხანებში გრძელ-გრძელი წერილები იწერება. ეს წერილები ცრემლში ამონავლებ კალმით არის დაწერილი. სტირიან ავტორები, რომ დღევანდელი მდგომარეობა მეტათ სამწუხაროა და მომავალში არაფერი სანუგეშო არა სჩანს ეს ყველასათვის ცხადია. თავდება იმ ტრაღედიის უკანასკნელი მოქმედება, რომელსაც „სომხების საკითხს“ ეძახიან. სომხეთის საკითხი უკანასკნელათ წყდება. გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენი ცნობილი და არა ცნობილი მწერლები, ჩვენი გენერალი „დიპლომატები“ და მინისტრები ძლიერ შეშფოთებული არიან. არაქელიანი სოციალისტებს სდებს ბრალს, აგარონიანი სტირის და წყევა-კრულვას უგზავნის რუსეთს და საფრანგეთს. ის მხოლოდ ეხლა, როცა საიდუმლო ხელშეკრულებანი გამოაქვეყნეს, ტყობილობს, რომ ნიკოლოზ მეორე, საზონოვი და სხვები ვერ იყვნენ კარგი კაცები, არ უყვარდათ სომხები და ომობდნენ იმიტომ, რომ ახალი ალაგები ჩაეგდოთ ხელში. მერე არ იკითხავთ ვინ არის აგარონიანი? ის გახლავთ ერთი რომ—ბელეტრისტი, მეორეთ—ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარე, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და ასე გვიან კი გაიგო ეს ახალი ამბავი.

შემდეგ ამისა პიჩიკიანი ეხება არაქელიანის წერილს და ამბობს:

„წინასწარმეტყველობა საჭირო არ არის, იმის გასაგებათ, რომ სომხეთი ოსმალეთს დაუბრუნდება. ეს უბრალო და ცხადი ფაქტია. ამას ვერ შესცვლის ვერც აგარონიანის წყევა-კრულვა და ვერც აგაბალიანის ტირილი. სოციალისტური სახელმწიფოები მათ ტირილზე სიცილით უპასუხებენ.

არაქელიანი ზავის, ადგილობრივ ადმინისტრაციის წინააღმდეგია. კერძოთ დაშნაკცაკანებს ბრალს სდებს, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს დროებით ზავის ჩამოგდების მოლაპარაკებაში. ეს კადეტების შეხედულებაა, იგინი მოითხოვენ გაგრძელდეს ომი „სრულ გამარჯვებამდე“. ასევე ფიქრობდა „დაშნაკცუტუტუნიც“, ის ოდესღაც ოცნებობდა შექმნა „თავისუფალი სომხეთი“ ტრაპიზონიდან კილიკიამდე და ამაყათ მოუწოდებდა სომხის ხალხს გაენადგურებია გერმანია და ოსმალეთი.

ამ ხალხის სიამაყეს და ნაციონალურ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ დაჰბერა შემოდგომის ქარმა, დაჰქნა ყვავილები, გამოიღვიძა ამ ხალხმა და დაინახა მრავალ გაციებულ გვამებით მოფენილი განადგურებული სომხეთი.

რუსეთს არ შეუძლია ომის გაგრძელება. ეს სრულიად შეუგნებელი კაცისთვისაც კი ცხადია. რა უნდა ქნან მემარცხენე პარტიებმა? მათ, რასაკვირველია, შეეძლოთ განეგრძოთ ომი ე. ი. განეგრძოთ ის აუტანელი მდგომარეობა, რომელიც დროებით შერიგებამდე იყო. ეს მდგომარეობა რასაკვირველია, უფრო გაუარესდებოდა. ჯარი არ დაუცდიდა შერიგებას და ფრონტიდან გამოიქცეოდა, რომ ზევიდან არ დაწყებულიყო, უეჭველათ ქვევიდან დაიწყებოდა დემობილიზაციაო. როგორც რუსეთში ისე კავკასიაში სოციალისტები იძულებული იყვნენ ჩამოეგდოთ დროებითი ზავი. ასეა თუ ისე, ჩვენ რაც შეიძლება საჩქაროთ ბოლო უნდა მოვუღოთ ამ საშინელ ომს. ამას მოითხოვენ ჯარისკაცები. ამას მოითხოვს ხალხი. საჩქარო ზავი აუცილებელია“.

* * *

დამფუძნებელი კრება ერთათ ერთი თავდებია რუსეთის მთლიანობის აღდგენის და რევოლიუციის გამაგრების. მარა სწორეთ ამიტომ ჩვენი ნაციონალისტები ვერ ურიგდებიან მის არსებობას. „სახალხო საქმე“ ასე სწერს:

„თავისთავათ ცხადია, მას შემდეგ, რაც მთლიანი რუსეთი არსებობს, ვერც ძველი დამფუძნებელი კრება იქნება მდგომარეობის გამომხატველი... **ძველმა** დამფუძნებელმა კრებამ ჩვენთვის უკვე დაკარგა მნიშვნელობა. მეტსაც ვიტყვი, რაც უნდა შეეცადოს, კიდეც რომ შეიკრიბოს დამფუძნებელი კრება, მექანიკურათ თავისით მოისპობა, ვინაიდან მას ექნება პრეტენზიები ისეთის ერთეულის მპყრობელობის, რომელიც აღარ არსებობს, ესაა რუსეთი. ამიტომ ფაქტიურათ არავითარი ძალა არ ექნება. ერები და ოლქები მას თავის პატრონათ ვერ აღიარებენ, ხოლო ბალშევიკური რუსეთი ეხლავე უარჰყოფს“.

ამრიგათ ბალშევიკებს კვლავ გაუჩნდენ დამხმარენი-ნაციონალისტები, რომელნიც რევოლიუციის დარღვევაში და რუსეთის დაქუცმაცებაში არიან დაინტერესებული. უკიდურესი რევოლიუციონერები და მემარჯვენენი ამ საკითხშიაც ხმაშეტკბილებული არიან და რეაქციონერ მისწრაფებებს საერთო ძალით ემსახურებიან.

ჩვენი ფედერალისტებისაგან ჩვენ არ გვიკვირს ასეთი „გაბედული ნაბიჯი“ და დამფუძნებელი კრების დაგმობა. მათ ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანეს და რასაკვირველია, მეორე არჩევნებში უნდათ ბედის ცდა, ვინ იცის იქნება ბედმა გაუღიმოთ. მარა ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ ეს უჯარო გენერლები, რომ მეორეთაც მათ ასეთი „საჯაყი“ საქმე დაემართებათ.

ფედერალისტების „სოციალისტურ“ სიბრძნეს უყვარს თავის ფედერალური პროექტების შედგენა.

„ახლა იმას უნდა ვესწრაფოდეთ, მოხდეს ცალკე დამფუძნებელი კრებები ერებისა, მათი საბოლოვო ჩამოყალიბება და შემდეგ თავისუფალი კონგრესი, თუნდ დამფუძნებელი კრება, რომელიც შეიმუშავებს ეროვნულ ერთეულების საურთიერთო ფორმას“.

ამნაირათ ფედერალისტებს საუკეთესოთ მიაჩნიათ ჯერ ეროვნული დამფუძნებელი კრებები და მხოლოდ შემდეგ ამ ერთა კონგრესის მოწვევა.

დემოკრატია შესტირის რუსეთის დაქუცმაცებას, ნაციონალისტები კი შეხარიან.

ასეთია ნაციონალისტების სულისკვეთების შედეგები.

* * *

ამ დაქუცმაცების პოლიტიკასთან შეკავშირებულია ზავის საკითხიც. ფედერალისტები აქაც სეპარატიულ მოქმედებას თხოულობენ. გუშინ დემოკრატიულმა რევოლიუციურმა ცენტრმა დაადგინა, რომ ოსმალეთთან ზავის საკითხში რუსეთის საერთო დემოკრატიასთან თანხმობით იმოქმედოს. ფედერალისტები კი ქადაგებენ დამოუკიდებელ მოლაპარაკების გამართვას: „ამიერკავკასიამ დაუყონებლივ **საზოგადო ზავი** უნდა ჩამოაგდოს, მიუხედავათ იმისა, რუსეთი განაგრძობს ომს თუ არა“.

ნეტა რა ჭკუის ხალხი სხედან ფედერალისტების ორგანოში? ნუ თუ არ ესმისთ მის ხელმძღვანელთ, რომ ეს რევოლიუციის ყველა უდაო მოთხოვნილებების უარყოფაა. განა ამ გზით შეიძლება სასარგებლო ზავის ჩამოგდება თუნდა სეპარატიულის, რომელიც ოდნავ მაინც სასარგებლო იქნება კავკასიის დემოკრატიისთვის?

განა ასე ცალკე მოლაპარაკებით ჩვენ თათრების ხელში არ ჩავაგდებდით ჩვენი ხალხის ბედს? ნუ თუ ეს უნდა ფედერალისტებს?

# დეპეშა

**აბასთუმანიდან ევ. გეგეჭკორმა შემდეგი დეპეშა მიიღო.**

3 იანვარს ს. უდიგენს მოადგა რვაასი აჭარელი ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით, რათა ახალციხის მაზრის მუსულმანთათვის დახმარება გაეწიათ. ჩვენ წავედით მათთან მოსალაპარაკებლათ. გამოკითხვით გამოირკვა, რომ თურმე ისინი არა ერთხელ გამოუწვევიათ დასახმარებლათ ახალციხის მოძრაობის მოთავეებს, როგორც წერილობით, ისე გაგზავნილ კაცების შემწეობით აწვდიდენ ყალბ ცნობებს—მუსულმანებს ხოცავენ და ამათ წინააღმდეგ შეერთდენ ქართველები და სომხები, ახალციხის არსენალი სომხებმა ჩაიგდეს ხელშიო და სხვ. ადიგენში შევხვდით აჭარელ ბეგებს გარდა ახალციხელების, რომელნიც ამ მასსას ხელმძღვანელობდენ. ისინი სხვადასხვა ვითომდა კეთილი განზრახვით ხელს გვიშლიდენ კავშირი დაგვეჭირა აღნიშნულ მასასთან, რომელიც ჩვენი შთაბეჭდილებით არ არის მაინცა და მაინც ბრძოლის გუნებაზე. გარემოების გაცნობის შემდეგ წამოყენებულ იქნა ისეთივე მოთხოვნები, როგორც ახალციხის ალყის დროს, ე. ი. ითხოვდენ შეერთებულ რაზმების შედგენას და მუსულმანებისთვის იარაღის დარიგებას.

# ახალი ამბები

**დღეს, 6 იანვარს, დილის 10 ნახ. საათზე, თფილისის კომიტეტის ბინაზე (გოლოვინის პრ. № 12) დანიშნულია საოლქო კომიტეტის სხდომა. წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ.**

◆ **ამიერ კავკასიის რკინის გზა და ადგილობრივი ორგანიზაციები.** როგორც ყოველგან, უწესოებამ რკინის გზებზეც ფართე ნიადაგი მოიპოვა. საერთო არეულობით სარგებლობენ მუქთათ ცხოვრების მოტრფიალენი და ყოველ შემთხვევით სარგებლობენ მუქთათ იმოგზაურონ რკინის გზაზე და სპეკულიაციის მიზნით გადაზიდონ საქონელი. რკინის გზის ადმინისტრაციამ ვერ შესძლო ამ ბოროტებისთვის ლაგამი აედო და ამიტომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა იკისრეს მასთან ბრძოლა. ამის მაგალითი მისცეს შორაპნის და მიხაილოვის სადგურის ორგანიზაციებმა. მათ გადასწყვიტეს ყოველ მიმავალ მატარებელს სასტიკი კანტროლი გაუწიონ. ამ დღეებში მიხაილოვში გააჩერეს სამგზავრო მატარებელი № 24. ადგილობრივ რკინის გზის წითელ გვარდიელების შემწეობით მატარებელში აღმოაჩინეს 980 ფუთი ბარგი. განკარგულება მოახდინეს ეს ბარგი ბაგაჟათ წაეღოთ. აქედან შევიდა კასაში 1928 მ. შორაპანში ადგილობრივ კომიტეტის განკარგულებით გააჩერეს სამგზავრო მატარებელი № 23 და 4. მთელი მატარებლის გაჩხრეკის შემდეგ იქ აუარებელი უბილეთო მგზავრი და აღკრძალული საქონელი აღმოაჩინეს. უბილეთოებს ფული გადაახდევინეს, აღკრძალული საქონელი კი ჩამოართვეს. უბილეთოებიდან კასაში შევიდა 250 მ. ადგილობრივმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა ყოველ მატარებლის მოსვლაზე ასეთ ზომას მიმართოს და ამით დაამყაროს წესიერება. საჭიროა ყველა სადგურებზე შემოიღონ ასეთი წესები.

◆ **„სახალხო ბანკის“ განთავისუფლება.** ამას წინათ ცნობა იყო, რომ ბალშევიკებმა სხვა კერძო ბანკებთან ერთად მოსკოვის სახალხო ბანკიც (კოოპერატიული ბანკი) დაიკავეს და გამგეობაში თავისი კომისარები დანიშნესო. ამ გარემოებამ დიდი პროტესტები გამოიწვია კოოპერატიულ დაწესებულებათა მხრით მთელ რუსეთში, ვინაიდან სახალხო ბანკის აქციონერები მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივებია და ამათგან უმრავლესობა გლეხთა და მუშათა კოოპერატივებია. კრედიტს ბანკი მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს უხსნის და ამ ბოლო დროს სასურსათო კომიტეტებსაც ეხმარება. ამიტომ ბანკის მოსამსახურეებმა პროტესტის ნიშნათ მუშაობა შესწყვიტეს, ხოლო კოოპერატივებს ყველგან გაკიცხვა გამოჰქონდათ ასეთ ძალმომრეობის გამო. ახლა, როგორც თფილისში მოსულ ცნობიდან სჩანს, „სახალხო კომისარებს“ განკარგულება მოუხდენიათ, რომ ცნობილი დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ მოსკოვის სახალხო ბანკზე არ გავრცელდეს და თავისი კომისარებიც უკან გაუწვევიათ. ამის შემდეგ ბანკს მუშაობა განუახლებია.

◆ **სოფლელთა ჩივილი.** სოფელ კავთისხევიდან ჩამოსულებმა შემოგვჩივლეს, რომ იქ ვიღაც ხულიგანები ჩასულან და დაშნაკცაკანების სახელით ძალას ატანენ ხალხს მიიღონ სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოება.

◆ **აღმასრულებელი კომიტეტის** წევრი ექიმი იოსებ ცინცაძე, რომელიც ამას წინეთ მილიციონერებმა ფეხში დასჭრეს, თავს ძლიერ ცუდათ გრძნობს. მდგომარეობა საშიშია.

◆ **დაკარგული კაცი.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 31 ქრისტეშობისთვეს დილის ექვს საათზე დაიკარგა დათიკო ბეკოს ძე ჭელიძე 47 წლისა, საშუალო ტანის. მუშაობდა ვერაზე ანანოვთან. ჯიბეზე ჰქონდა 1000 მ. მნახველს სთხოვენ შეატყობინონ სასტუმრო ორიანტში ოტია ჭელიძეს.

◆ **„ღალატი“ სახაზინო თეატრში.** კვირას, 7 იანვარს, დილით ქართველ მსახიობთა მიერ საუკეთესო ძალების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ღალატი“. როლების აღმასრულებელნი: ზეინაბი—ეფ. მესხი, ოთარ-ბეგი—ვალ. გუნია, სულეიმანი—შ. შარაშიძე, გაიანე—ტ. აბაშიძე, ბესო—ვ. აბაშიძე, ანანია—ვ. გამყრელიძე, დათო—ა. იმედაშვილი, ერეკლე—ი. ქივიძე, ისახარი—ელ. ჩერქეზიშვილი, რუქაია—თ. გოგოლაშვილი, საბა ბერი—ი. ივანიძე, მაიკო—ნ. ჯავახიშვილი, ყარა-იუსუფი—ვალ. შალიკაშვილი და სხვ. პიესას რეჟისორობს ვალ. შალიკაშვილი.

◆ **გ. ქუჩიშვილის დილა.** იანვრის 14-ს, ქართულ კლუბში გაიმართება გ. ქუჩიშვილის სალიტერატურო დილა. ბილეთები ამ თავითვე იყიდება ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განათლება“-ში, დღის 10—2 საათამდე, ოლღას ქ. № 6.

◆ **დამფუძნებელ კრების დეპუტატებს** ამიერ კავკასიის კომისარიატის დადგენილების თანახმათ მიეცემათ თითოს 3 ათასი მანეთი ავანსათ. ეს დადგენილება ეცნობება დამფუძნებელ კრებას.

◆ **დოროჟნოვის მაღაზიაში მომუშავეთა გაფიცვა.** რამდენიმე თვის უკან შრომის კომისარის წინადადებით მუშებისა და მაღაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მიიღეს ზოგადი პირობები, რომელთა თანახმათ უნდა შეჩერებულიყო გაფიცვა. ამ პირობების დაწვრილებით განხილვა გადაეცა შემათანხმებელ კომისიას. კომისიაში შედიან სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირისა და მაღაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

◆ **ავტომობილებით სარგებლობის მოწესრიგება.** თფ. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ამიერ-კავკასიის კომისარიატს დანიშნოს ცალკე კომისარი ან მოაწყოს ავტოკომისარიატი ავტომობილებით სარგებლობის მოსაწესრიგებლათ როგორც ფრონტზე, ისე „ზურგში“. აღმასრულებელ კომიტეტს სასურველათ მიაჩნია ეს ავტოკომისარიატი შესდგებოდეს სამი პირისაგან. თავის მხრით ერთ წევრათ კომიტეტი ასახელებს ი. კუზნეცოვს.

◆ **პირუტყვ საქონლის რეკვიზიცია.** კავკასიის სასურსათო გამგეობამ მიმართა ამიერ-კავკასიის კომისარიატს მოახდინოს პირუტყვ საქონლის რეკვიზიცია.

◆ **ჯარების წამოსვლა სპარსეთიდან.** როგორც ადგილობრივ გაზეთებს ატყობინებენ, ბარათოვის ექსპედიციის ჯარისკაცებს მიუტოვებიათ ფრონტი სპარსეთში და გამორბიან სახლში ხამადან, კაზვინ, ზენჯანუ, ენზელის მიმართულებით. ჯარების ლოზუნგია—სპარსეთის საზღვრების დაჩქარებით დატოვება და სახლში წასვლა.

◆ **სამხრეთის ოსების ეროვნულმა საბჭომ** დაიწყო თავის მოქმედება თფილისში.

◆ **ნუხის მაზრაში მცხოვრები** უდინები ატყობინებენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ ისინი მეტათ დიდ საფრთხეში იმყოფებიან. ადგილობრივი მუსულმანები აწიოკებენ სოფლებს, ეწევიან ძარცვა-გლეჯას. გაანადგურეს უდინთა რამდენიმე სოფელი, მოჰკლეს რამდენიმე უდინი. უდინები სთხოვენ საბჭოს დახმარებას.

◆ **სურსათი.** 5 იანვარს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო ფოთიდან 12 ვაგონი საქონლის საკვები მასალა.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** რადგანაც ფულს არ აგზავნიან, დღეს უკანასკნელათ იგზავნება გაზეთი: ჭიათურაში და ხონში. პროვინციის მკითხველებს ვთხოვთ ფული წინდაწინ გადასცეთ აგენტებს, ვინაიდან ყველა იმ აგენტებს, რომლებსაც ავანსი არ აქვს კანტორა „განათლებაში“, გაზეთების გაგზავნა უსათუოდ უწყდება.

## კრებები და მიტინგები.

კვირას, 7 იანვარს დილის 10 საათზე მე-6 რაიონის კოლექტივის პრეზიდიუმი, ბიუროს ბინაზე იწვევს კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივ კრებას. განსახილველია მიმდინარე სერიოზული კითხვები. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— დღეს, 6 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია შეერთებული კრება რ. ს.-დ. მ. პ. საოლქო და თფილისის კომიტეტების და ყველა რაიონულ კოლექტივებისა. დაბეჯითებით სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ. წევრებმა თან უნდა იქონიონ შესაფერი მანდატები კომიტეტებისა და კოლექტივებისაგან.

— ხვალ, კვირას, 7 იანვარს, დილის 10 საათზე დანიშნულია ქალაქის თვითმართველობის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კრება.

— კვირას, 7 იანვარს საღამოს შვიდ საათზე მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში (უდელ. ქ. № 3) მოწვეულია პირველ სამილიციო უბნის სოციალ დემოკრატების პარტიული საზოგადო კრება. სთხოვენ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

— ვერის სოციალ-დემოკრატიული კლუბი (უდელის ქუჩა № 3) კვირას, 7 იანვარს 1918 წელს გაიმართება დიდი საბავშვო დილა სამ-განყოფილებათ. წარმოდგენილი იქნება კომედია ერთმოქმედებათ „ორი მშიერი“ დ. აწყურელის. შემდეგ წაკითხული იქნება სცენები და ლექსები. აგრეთვე შესრულებული იქნება სიმღერები. დასაწყისი დღის 12-საათზე.

— კვირას, 7 იანვარს, დღის 12 საათზე, ჟუკოვსკის ქუჩაზე პროფესიონალურ სკოლის დარბაზში დანიშნულია მესამე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. ყველა წევრთა საერთო კრება.

— კვირას, 7 იანვარს, დილის 10 საათზე სახელოსნო კლუბში დანიშნულია ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

— კვირას 7 იანვარს დილის 10 საათზე აფთიაქში მოსამსახურე ფარმაცევტთა კავშირის გამგეობის ბინაზე, პეტრე დიდი ქუჩა № 18, დანიშნულია ყველა მოსამსახურე უმუშევარ ფარმაცევტთა საერთო კრება.

— კვირას, 7 იანვარს დილის 10 საათზე საბურთალოს აუდიტორიაში დანიშნულია ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის წევრთა საზოგადო კრება.

# პროვინციის ქრონიკა

**ყვირილა.** ყველა ოფიცრები და ჯარისკაცნი, რომლებიც ჩარიცხულნი არიან მე-3 ქართველთა მსროლელ პოლკში, უნდა გამოცხადდენ არა უგვიანეს 10 იანვრის 1918 წლისა დაბა ყვირილაში, გარდა სამსახურში გაგზავნილებისა. პოლკის კომანდირი პოდპოლკოვ. ჩხეტიანი.

**მონასტერ-ჯანიეთური.** (გურია). თუ წინეთ აქ რაიმე კულტურულ დაწესებულების არსებობაზე ზედ-მეტი იყო ლაპარაკი, მეფის თვითმყრობლობის დამხობის შემდეგ აქაურმა მცხოვრებლებმაც შეიგნეს, რომ ხსნა მხოლოდ სწავლასა და ერთობაშია, და გადადგეს კიდეც შესაფერი ნაბიჯები. გახსნეს კოოპერატივი, დაარსეს პირველ დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებელი და ახლო, მომავალში ფიქრობენ ჭოლა ლომთათიძის სახელობის სამკითხველოს დაარსებას. დღეს დღეობით გაზეთები მოდის ადგილობრივ კოოპერატივში.

# რევოლიუციონური რაზმის ჩამოსვლა თფილისში

თფილისის პროლეტარიატის მოწოდებას გურიის ამხანაგები აღფრთოვანებით შეხვდენ.

მებრძოლი ბრძოლის ველზე უნდა იყოს სადარაჯოთო გაისმა ხმა გურიის ამხანაგებისა და პირველი რაზმი სამ იანვარს გამოემგზავრა თფილისისკენ.

გურია სამ იანვარს გამოეთხოვა მებრძოლ რაზმს, რაზმმა სიტყვა დასდვა, რომ აასრულებს თავის მოვალეობას თფილისის მუშებთან ერთად.

სამ იანვარს შესდგა ქ. ოზურგეთში სადემონსტრაციო მიტინგი ოზურგეთის რაიონის რაზმელთა გასაცილებლათ. მიტინგი გახსნა გურ. კომიტ. სახელით მ. საბაშვილმა. შინაარსიანი სიტყვით მიმართა ქალაქის თავმა ვ. ღლონტმა და რაზმს გადასცა ქალაქის დემოკრატიის სახელით წითელი დროშა. ილაპარაკეს აპ. წულაძემ, დ. ქარცივაძემ. რაზმის სახელით ეტ. ცეცხლაძემ და რ. ხომერიკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ყვა წარმოსთქვა თფი- ...მ და მოუწოდა ხალხს ...

სამ საათზე რაზმი გაემგზა- ...ატანებისაკენ. სადგურ ნატა- ...ვდა ხვარბეთ-მიქელგაბრიელის ...ქ მიტინგი უკვე მომხდარიყო. ...თიდან კი დაგვხვდა ამხ. კ. იმნაძე, ...მაც გადმოგვცა, ლანჩხუთში გვე- ...ბიან რაზმელები და ხალხიო.

...საათზე გავედით ნატანებიდან, მარ- ...ოზის სიმღერით.

...დგურ სუფსაში რამდენიმე რაზმელი ...გვიერთდა.

...ანჩხუთის სადგურთან დაგვხდენ მთე- ...რაიონის რაზმელები და დიდძა- ... ხალხი წითელი დროშებით და სი- ...ერით. რაზმი შემოგვიერთდა. მგძნო- ...არე სიტყვით მიმართა ხალხს ამხ. დ. ...არცივაძემ და თფილისელმა მუშამ.

სადგურ საჯავოხოში შეგვეგებნენ ჩო- ...ატაურის რაიონის რაზმელები, მხოლოდ ...სამტრედიაში—სამეგრელოდან მომავალი რაზმი.

სადგურ რიონში რამოდენიმე ამხანა- ...ები დაგვხდა ქუთაისიდან, რომელიც გუ- ...ის რაზმის შესახვედრათ მოსულიყვენ. ...დგურ ყვირილში კი დახვდა ყვირილე- ... ამხანაგები და რ. ჩიხლაძე. ყვირი- ...ლ იმხანაგებმა საყვედური გამოსთქვეს, ...თვის არ გაგვაგებინეთ, ხალხს შეხვე- ...ნდოდაო. სამი საათი იქნებოდა, ... რაზმი სიმღერით თფილისის სა- ... მოადგა და იქიდან სასახლისაკენ ...ა მუშათა და ჯარისკაცთა სა- ...

...ქუჩებში სამხედრო წესრიგით ... და მოქალაქენი გაკვირებით ...დენ—ვინ არიანო. ვერის და- ...ნ შემოგვეგებნენ თფილისელი ...

... პროსპექტზე რაზმს შე- ...სის მუშათა წითელი გვარ- ...ულებრივი შეხვედრა იყო. ...: გაუმარჯოს წითელ ...ჩვა.

...ეგვეგება ძვირფასი მას- ...ა ნოე, რომლის დანა- ...აზმის ძახილი: გაუ- ...სო! რასაც მოჰყვა ...ას ცემა. რაზმს მოკლე ... სიტყვით მიმართა ნოე ...

... სახელით სიტყვა წარმოსთქვა ... ეტ. ცეცხლაძემ, რომელმაც განაცხადა: ჩვენ მოვედით რევოლ. წესრიგის დასაცველათ, და ყველანი მზათ ვართ, ავასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვა- ...ეობა და მიუხედავათ იმისა, რომ წი- ...აალმდეგი ვართ სიკვდილის, არც აქ დავიხევთ უკან, თუ ეს აუცილებელი იქნებაო.

...სასახლეში რაზმს ამ. კ. ს. დ. მ. პ. ...სახელით მოკლე და შინაარსიანი სიტყვით მიმართა ამხ. ნოე რამიშვილმა.

ამიერ კავკასიის კომისარიატის სახელით—აკ. ჩხენკელმა, წითელი გვარდიის ...ელით—ვალ. ჯუღელმა და ვალოდია გოგუაძემ, საღამოს 6 საათზე რაზმი განსაკუთრებულ ბინაზე დაბანაკდა.

## მუშათა წერილები

### პეტროგრ. მუშათა წითელი გვარდია და ბალშევიკები.

მუშათა წითელი გვარდია—ეს ის სახელია, რომლის გაგონებაზე მთელ გაბატონებულ კლასს, ბურჟუაზიას თავზარს სცემს, შიში იპყრობს, მახვილი ესობა ლაღ ცხოვრებით ალსავსე გულს, და სასოწარკვეთილებაში აგდებს, მხოლოდ მუშათა კლასი, ფართე მასა კი ...აშინ ხარობს, ძალას იკრებს და წითელ გვარდიასთან ერთათ გზას იკაფავს, მიზანს აღწევს.

წითელი გვარდია—ეს ის ამონახეთქია რევოლიუციონური ვულკანისა, რომელიც თვით რევოლიუციის გასამაგრებლათ არის შექმნილი, და სპეტაკი, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურათაც, როგორც თვით რევოლიუციის იდეალი.

აი, სწორეთ ამისათვის არის, რომ ბურჟუაზიას თავზარი ეცემა, რადგანაც მას კარგათ აქვს შეგნებული მუშათა წითელი გვარდიის შედგენის მნიშვნელობა, როგორც მორალური ძალის, რომლის სპეტაკი მორალური ძალით ქმნის და ამაგრებს ფიზიკურ ძალასაც და ამ ძალის წინაშე ძალაუნებურათ ქედს იხრიან, მარცხდებიან გაბატონებული კლასები. მაგრამ რუსეთის მუშათა კლასის საუბედუროთ ბალშევიკებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ რუსეთის წითელ გვარდიას გამოცლოდა ეს მორალური ძალა, მნიშვნელობა, გავლენა; მათ დაუკარგეს გვარდიელებს სულიერი ძალა. იგი მორალურათ დაქვეითებული ხალხის თვალში, ჯერ კიდევ დადის პეტროგრადის ქუჩებში, თოფით შეიარაღებული. მარა საუბედუროთ რევოლიუციისა თანდათანობით ანარქიაში ჩაფლული გვარდია დაკარგავს ფიზიკურ ძალასაც; რაიც მთელი ჩვენი გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ.

ბალშევიკებმა შეუგნებელი მუშები შეაიარაღეს წითელ გვარდიაში და ბოროტათ გამოიყენეს მათი ნდობა. იგი ნამდვილი წითელ გვარდიის დანიშნულებას, მიზანს ააცდინეს და მათივე ინტერესების გასათელათ გამოიყვანეს იარაღით ხელში.

განა პეტროგრადის მუშათა წითელი გვარდიის ინტერესები მოითხოვდა რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის დამაარსებულ, ორმოცი წლის მებრძოლ გ. პლეხანოვის, გაჩხრეკას, აწიოკებას და დატყვევებას? განა მუშათა გვარდიის ინტერესები მოითხოვდა მრავალ ცნობილ სოციალისტების, მრავალ წლებით კატორღაში ნატანჯ-ნაწამების—დაჭერას, ციხეში ჩაკეტვას და ციხის კარებთან მათ დარაჯათ დადგომას? განა გვარდიელების ინტერესები მოითხოვდა ქარხანაში გვარდიელებთან ერთათ მომუშავე ცნობილი ოცი წლის მოღვაწე მუშა სოციალისტების დაჭერას? განა გვარდიელების ინტერესები მოითხოვდა მუშათა გაზეთების დახურას, დამფუძნებელი კრების გარეკას, რომლის მოსაწვევათ თვით გვარდიელები იბრძოდენ მარტის თვეში? განა გვარდიელების ინტერესები მოითხოვს, თავიანთი მოძმე, თავისუფლებისათვის მებრძოლნი უკრაინის და სხვა კუთხეების მუშების ხოცვა ჟლეტას? არა და ათასჯერ არა, ასეთი დანიშნულება, ინტერესი წითელ გვარდიას არ ქონია და არც ექნება არასოდეს, ასეთი დანიშნულება ბურჟუაზიულ თეთრ ან უკეთ რომ ვსთქვათ შავი გვარდიის საქმეა.

მარა ბალშევიკების მიერ დემაგოგიურ ლოზუნგებით, ლენინის დეკრეტებით თავ-ბრუ დახვეული პეტრ. წითელი გვარდია თანდათან თავს აღწევს ამ ლაბირინტიას, გონს მოდის, გზას იკაფავს ბალშევიკებისაგან, შორდება მათ. მე მოვიყვან ერთ ფაქტს ამისათვის. მუშათა ს.-დ. გაზეთ „ნოვი ლუჩი“ სწერს: „ბალშევიკების მიერ მზადება წითელი გვარდიელებისა, გასაგზავნათ შინაურ ფრონტზე საბრძოლველათ, (ე. ი. უკრაინის და სხვა ერის მუშათა კლასის წინაალმდეგ), წითელ გვარდიელებში დიდ რყევას იწვევს. ბევრ წითელ გვარდიელებს სურს დაუბრუნდენ მუშათა წრეს, ქარხნებში ჩადგენ სამუშაოზე, მაგრამ ასეთ წითელი გვარდიელების ცდას ძლიერ ხშირათ მუშები სასტიკ წინაალმდეგობას უწევენ. მილების ქარხნის მუშები ძლიერ მტრულათ შეხვდენ წითელ გვარდიელების სურვილებს და განუცხადეს: **„შორს გაემგზავრეთ პეტროგრადიდან ჩვენ თქვენისთანეები არ გვინდაო!“** ამ ამონაწერიდან ნათლათ სჩანს ერთის მხრით ის, რომ პეტრ. წითელი გვარდიელები გონს მოდიან, უკმაყოფილო არიან, იგნებენ, რომ თავიანთ ინტერესების წინაალმდეგ აგზავნიან საბრძოლველათ და არ უნდათ მოძმე ამხანაგ მუშებთან ბრძოლა უმიზნოთ და ქარხნისაკენ მიეშურებიან, ხოლო მეორეს მხრით თვით მუშები უკმაყოფილონი არიან და ხშირათ კიდეც ეზარებათ წითელი გვარდიელები, ბრმა იარაღათ გადაქცეული, ლენინის მიერ ორი-სამი თუმნიანი დღიური ჯამაგირით დაჯილდოებული და ეუბნებიან: შორს გაგვშორდი, თვალით არ დაგვენახოო. რას ნიშნავს მერე ეს? იმას, რომ ბალშევიკების მიერ ბოროტათ მოხმარებულ ნამდვილ გზას ამცდარი წითელ გვარდიელებმა დაჰკარგეს არამც თუ შეგნებულ ნაწილში, არამედ ფართე მუშათა მასაშიაც მორალური მნიშვნელობა, ძალა და გავლენა, მაგრამ ამასთანავე მუშათა მასის თვალში დაცემული მორალურათ წითელ გვარდიელებმაც იგრძნო თავის უბედურება ბალშევიკების მიერ მათ თავზე დატეხილი და გარბის ქარხნისაკენ, ამხანაგებთან სამუშაოთ.

კორნილოვის გამოსვლის დროს, როდესაც საფრთხე ელოდა რევოლიუციას, მუშათა წითელი გვარდია გამოვიდა საბრძოლველათ, მაშინ მას დიდი მორალური ძალა ქონდა, მთელი სიმპატია ხალხისა წითელ გვარდიელებისაკენ იყო. გვარდიელებმაც იცოდენ, თუ სად მიდიოდენ, ვის წინაალმდეგ. დღეს კი? თვითონაც არ იციან რას აკეთებენ, ვის ებრძვიან, თავის თავს თუ მტერს?

როდესაც თფილისში ბალშევიკებმა თავიანთ კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლით მოინდომეს შეუგნებელ სალდათების ხიშტებით სამოქალაქო ომის გაჩაღება, ანარქიის გამეფება, თფ. მუშათა წითელმა გვარდიამ გვერდზე მიაგდო ურო-გრდემლი და რევოლიუციის დასაცავათ, მოსალოდნელ ანარქიის დასათრგუნავათ შეგნებულათ გამოვიდა იარაღით ხელში და შესძლო კიდეც შეჩერება ანარქიის შემქნელი ელემენტების. ასე რომ სისხლის ღვრა არ მოუხდენია.

ეს იყო შეგნებულ მუშის შეგნებული გამოსვლა და მას დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა ხალხზე და დემოკრატიის სიმპატიაც გვარდიელების მხარეზე იყო. ამას გრძნობდენ ის ხელმძღვანელი, ძმა-ძმის შორის ბრძოლის გამჩაღებელი ბალშევიკებიც და იძულებული შეიქნენ სულით დაცემულთ ქედი მოეხარათ წითელი გვარდიის წინაშე და თავი ემართლებიათ—ეს ჩვენი ბრალი არ არისო და სხვა. სამწუხაროთ ამას ვერ ვხედავთ პეტრ. წითელ გვარდიის მეთაურებში, რომლებიც ნაცვლათ მუშათა ნამდვილ ინტერესების დაცვისა, თავიანთ მოძმეების წინააღმდეგ მიდიან. შეგნებული პროლეტარიატი ყოველთვის ხედავს, და მალე მისი ხმა, იმედი უნდა ვიქონიოთ მუშათა გვარდიის მასსას გამოაფხიზლებს. პირველ ნიშნებს გამოფხიზლებისას უკვე ვხედავთ. მალე ყველა, დიდი უმრავლესობა მაინც შეიგნებს თავის შეცდომას და სწორ გზას დაუბრუნდება. ამით წითელი გვარდია ისევ ზნეობრივათ ფაქიზ, ხალხის სანუკვარ გვარდიათ გადაიქცევა და თავისუფლებას ნამდვილ დარაჯათ მოევლინება.

აკ. პლებეიშვილი.

## რუსეთის ამბები

**პეტროზავოდსკი** (ოლონეცკის გუბერნია). ს. უხუტაში შესდგა კორელის სახალხო სეიმი, რომელზედაც გადასწყდა გამოცხადებულ იქნას „კორელის რესპუბლიკა“. არხანგელის გუბერნიის და ოლონეცკის კორელის ნაწილისაგან უნდა შესდგეს ცალკე დამოუკიდებელი ერთეული. უმაღლესი ადმინისტრატიული მმართველი უნდა დანიშნოს რუსეთის მთავრობამ, რომელიც იცხოვრებს პეტროზავოდსკში. მთავრობის კომისარს ეყოლება 4 მრჩეველი, რომელთაც თითონ დანიშნავს თითეულს 4 წლით. მთავარი საბჭო იქნება „კორელის რესპუბლიკის“ მინისტრთა კომიტეტი. საქმის წარმოება ყველა დაწესებულებებში იქნება ხალხურ, კარელურ ენაზე. საფინანსო, საფოსტო, სამხედრო და სასამართლოს საქმეები საერთო იქნება მთელი სახელმწიფოსათვის. დანარჩენი საქმეები,—როგორიცაა მიწათ-მოქმედება, სამიმოსვლო, სწავლა-განათლების, სანიტარული, სავაჭრო-სამრეწველო და სხვა—ადგილობრივი მთავრობის ხელში იქნება. თვითმმართველობის დებულება ასეთია: უმდაბლესი საფეხური სასოფლო ყრილობაა, შემდეგ სასოფლო და სამაზრო საბჭოები. ყველა მაზრების საბჭოები წელიწადში ერთხელ იკრიბებიან და ადგენენ სეიმს, რომელმაც უნდა გამოსცეს ოლქისთვის საერთო ხასიათის კანონები. „კორელის რესპუბლიკის“ პროექტი დასამტკიცებლათ წარედგინება სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას.

**დამფუძნებელი კრების** დეპუტატმა დოლგორუკოვმა, რომელიც ამ ჟამათ დაპატიმრებულია, წერილობით მიმართა დამფუძნებელ კრების დროებით თავმჯდომარეს, სადაც სწერს: სრულიად არ ვიცი რაში მდებენ ბრალს. 10 დღეზე მეტია პეტრე-პავლეს ციხეში ვარ მოთავსებული, რისთვის არ ვიცი. იქნება გაუგებრობას აქვს ადგილი, შეცდომით დამაპატიმრეს, გთხოვთ დამეხმარეთო.

**პეტრე-პავლეს ციხეში** ექიმმა მანუხინმა და სენატორმა სოკოლოვმა პოლიტიკურ პატიმართა დამხმარე საზოგადოების დავალებით ინახულეს დაპატიმრებულნი. დროებითი მთავრობის დაპატიმრებული მინისტრები თავს ცუდათ გრძნობენ. ტრეტიაკოვზე და კონოვალოვზე მეტათ ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია სმოლნის უარყოფითი პასუხს მათ თხოვნაზე, რომ მათთვის დაენიშნათ ექიმების კონსილიუმი ავათმყოფობის შესამოწმებლათ. თვით ციხის ადმინისტრაცია კონოვალოვის და ტრეტიაკოვის ციხის საავათმყოფოში გადაყვანის მომხრეა, ციხე გავსებულია პოლიტიკურებით, რომლებისთვისაც არავითარი ბრალდებები არ წაუყენებიათ.

**გერმანიის ჯარების გადაყვანის** შესახებ რუსეთის ფრონტიდან დასავლეთისაზე კავკასიის ჯარების სამხედრო კომისარმა 4 იანვარს შემდეგი ცნობა მიიღო: საკანტროლო კომისიას თავისი წარმომადგენლები არ ჰყავს რკინის გზის ჯვარედინ სადგურებზე, რომ თვალ-ყური ადევნონ ჯარების გადაყვანას. გერმანიის სამხედრო მთავრობა ამაში ხედავს უნდობლობას ⓑ მწუხარებას გამოსთქვამს, რომ საზავო დელეგაციას ასეთი საკითხების აღძრა უხდება. ამას გარდა ასეთი კომისიის დაწესება როგორც ჩვენის, ისე გერმანიის მხრით მოუხერხებელია. გერმანიის იმ ჯარების სია, რომლებიც ჩვენს ფრონტზე იმყოფება, ჯერაც არ მიგვიღია. ჩვენ მზვერავთა მიერ შეკრებილი ცნობები საკმაოდ სრულია. ურთი-ერთ ნდობის გარდა არავითარი პირობა არ არის, რომ ჯარის გადაყვან-გადმოყვანას კანტროლი გავუწიოთ. ჩვენი დელეგაციის შეკითხვაზე—გადაიყვანეს რუსეთის ფრონტიდან გერმანელებმა მესამე კორპუსი დასავლეთ ფრონტზე თუ არა, გერმანიის დელეგაციამ გვიპასუხა, რომ ჯარის ნაწილების სხვა ადგილებში გადაყვანა საზავო ხელშეკრულობის საწინააღმდეგო არ ყოფილაო.

**ეკატერინოდარში** საოლქო ყრილობაზე ოლქის მთავრობის წარმომადგენელმა ლ. ლ. ბიჩმა, სხვათა შორის სთქვა: ამ სამძიმო დროში ბევრი იტანჯება შიმშილით. დაეხმარეთ მათ! კავკასიის ჯარს უკვე აღარ აქვს პური. ამიერ კავკასია, თურქესტანი უკიდურეს მდგომარეობაშია. დეპეშები და კერძო პირთა ნაამბობი საშიშარ სურათს გვიშლის თვალ-წინ. თურქესტანში პურისთვის ბავშვებს, ცოლებს ჰყიდიან. ამაზე უკეთ საქმე არ არის ჩრდილოეთში. ტანში ჟრუანტელი გივლის, როცა მოსკოვიდან და პეტროგრადიდან მიღებულ ც...ებს კითხულობ. შიმშილობის ნიადაგზე არავითარ თავისუფლებას არ შეუძლია გამაგრდეს. მშიერები ყველაფერზე დასთანხმდებიან. მეფეზედაც არ იტყვიან უარს. მე მოგიწოდებ თქვენ ოლქის მთავრობის სახელით: მიზიდეთ სადგურებზე პური. თუ თქვენ არ მისცემთ პურს, მშიერები თითონ მოვლენ აქ პურისთვის. როცა დაბრუნდებით სახლში, ურჩიეთ ყველას, ზედმეტი პური მიჰყიდონ მშიერთ. ამგვარი თხოვნით, მშიერთა სახელითაც მოგმართავთ თქვენ!

8 იანვარს ეკატერინოსლავში გაიხსნება კანონმდებელი რადის ახალი შემადგენლობის სესია.

**რამდენათ მეტი ვრცელდება გაზეთი, იმდენათ მას უადვილდება არსებობა. თვითეულმა საკუთრათ გამოიწერეთ გაზეთი „ერთობა“.**

## კავ. მუშ. გლ. და ჯარისკაც. დეპ. საბჭოთა ცენტრი

(შეერთებული სხდომა).

4 იანვარს, გაიმართა აღნიშნულ ცენტრის არაჩვეულებრივი კრება, განსახილველი იყო ორი კითხვა: 1) ოსმალეთის წინადადება ზავის ჩამოგდების შესახებ; 2) ამიერ-კავკასიის კომისარიატის პროექტი, რომ ჯარში დაბრუნებულ იქნან 19 წლიდან 32 წლის ასაკამდის ყველა მამაკაცნი, გარდა ოჯახის ერთადერთი მარჩენალთა.

კრებას თავმჯდომარეობს ნ. ჟორდანია.

ზავის წინადადების შესახებ მოხსენებას კითხულობს ევგ. გეგეჭკორი. ოსმალეთის წინადადება მოკლეთ ასეთია: ოსმალეთს სურს ზავი შეკრას დამოუკიდებელ კავკასიის სახელმწიფოსთან და ამისთვის წინადადებას იძლევა მიიღონ მისი დელეგაცია დამოუკიდებელ კავკასიის სატახტო ქალაქ თფილისში მოსალაპარაკებლათ.

ამასთან ერთად გეგეჭკორი კითხულობს ტელეგრამას, რომელიც გადმოგვცემს ამერიკის პრეზიდენტის ვილსონის სიტყვას მოკავშირეთა საზავო პროგრამის შესახებ. აღსანიშნავია მოკავშირეთა ზავის პირობების მთავარი მუხლები. მოკავშირენი ზავის პირობათ სდებენ, აღდგენას ყველა დაპყრობილ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის, სა... ელზას-ლორენის დაბრუნებას და სხვ.

გეგეჭკორი აცხადებს, რომ კომისარიატს ამ კითხვის შესახებ დადგენილება არ გამოუტანია და სთხოვს კრებას კითხვის განხილვის დროს ყურადღება მიაქციოს ორს გარემოებას: 1) ოსმალეთი საზავო წინადადებაში კავკასიას დამოუკიდებელს სახელმწიფოს უწოდებს, 2) შეიძლება თუ არა ოსმალეთის დელეგატების მიღება თფილისში.

კრებას აინტერესებს საკითხი დროებით შერიგების დროს ხომ არ მისცეს ოსმალეთს საბაბი, რომ კავკასია დამოუკიდებლათ ეცნო.

განმარტებას იძლევა სმირნოვი, რომელიც ამბობს, რომ დროებით შერიგების დროს არ იყო ნახსენები კავკასიის დამოუკიდებლობა, რომ პირ-იქით ხელშეკრულებაში არის მ.—12, რომელიც ამბობს, რომ თუ დასავლეთ ფრონტზე მოხდა შერიგება, ეს ოსმალეთის ფრონტზედაც გრძელდება.

თუმანოვი (ს. რ.). სოციალისტ-რევოლიუციონერთა საოლქო კომიტეტი იმ აზრისაა, რომ თუნდაც ფედერაციათ აღვიაროთ რუსეთი, კავკასიას მაინც არ აქვს უფლება ცალკე შეკრას ზავი, მით უმეტეს, რომ ხვალ დამფუძნებელი კრება უნდა შეიკრიბოს. ვერც ოსმალეთის დელეგატებს მივიღებთ თფილისში, რადგან ამას ისე გაიგებენ, როგორც კავკასიის ჩამოშორებას.

**ჯუღელიც** (ს.-დ.) იმავე აზრისაა, თუ გვიხსნის რუსეთის დემოკრატიასთან ერთობა და დამფუძნებელი კრებაო, ამბობს ორატორი. ასეთსავე აზრს გამოსთქვამს ს.-რ. ჩემოდანოვი.

**ნ. რამიშვილი.** არავინ არ ამბობს იმას, ვითომ ამიერ-კავკასია დამოუკიდებელი იყოს, კითხვა ის არის, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ომის განგრძობა. ჩვენ უნდა მოვამზადოთ ნიადაგი ზავისთვის. მარტო დამფუძნებელ კრებას ვერ დავეყრდნობით, რადგან, ვინ იცის, ბალშევიკებმა იქნებ კიდეც გარეკონ ის. დროებით შერიგების შეწყვეტა ჩვენ არ გვსურს. უნდა შეთანხმება მოვახდინოთ მეზობელ ერებთან და დამფუძნებელ კრებასთან და ოსმალებს შევუთვალოთ, რომ განსაზღვრულ დროსთვის პასუხს მივსცემთ.

**არზუმანოვს** (დაშნაკელი) უკვირს, როგორ შეიძლება მოკავშირეების ღალატი და სეპარატიულ ზავზე ლაპარაკი. თუ ოსმალეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გვთვლის, უნდა უთხრათ მას, რომ ჩვენ მასთან ასეთი ზავი არა გვსურს. ბალშევიკებს არ უნდათ სამარცხვინო ზავის ჩამოგდება იკისრონ, ამიტომ იწვევენ ისინი დამფუძნებელ კრებას. ჩვენ კი ზავზე ვლაპარაკობთ, იმ დროს, როცა ჩვენ უკეთეს პირობებში ვართ, ვინემ ბალშევიკები. ისინი თხოვდენ ზავს გერმანიას, ჩვენ კი პირველათ ოსმალეთმა მოგვმართა, სჩანს აქ ჩვენ უფრო ძლიერი ვართ. ცენტრი თფილისში კი არ არის, პეტროგრადშია, ამიტომ ნებაც არა გვაქვს ოსმალებს ველაპარაკოთ. ეს დამფუძნებელმა კრებამ იკისროს. ჩვენმა დელეგატებმა იქ პირველ რიგში უნდა დააყენონ ეს საკითხი. მე მიკვირს როგორ დასვა კომისარიატმა ასე კითხვაო.

**გეგეჭკორი** ამბობს, რომ არზუმანოვის საყვედური გაუგებარია, რადგან კომისარიატს ჯერ ეს კითხვა არ განუხილავს და ამიტომ არც შემუშავებული შეხედულება აქვსო.

**თარხანოვი** (ს.-რ.) ამბობს, რომ მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით უნდა დაისვას ზავის საკითხიო.

**ნ. ჟორდანიას** უკვირს, რათ ახსენებენ დამოუკიდებლობას, როცა ამაზე არავის არაფერი უთქვამს. კითხვა მარტივია. უნდა მოველაპარაკოთ მეზობლებს და პასუხი მივსცეთ.

**კ. ნინიძე.** საქმე ის არის შეგვიძლია თუ არა ომი ოსმალეთთან, კიდეც რომ გვსურდეს. თარხანოვი ვილსონის შეხედულებას იზიარებს. მოკავშირეების პროგრამას თუ გავყევით, ბოლომდის უნდა ვიომოთ. მერე რისთვის? განა ჩვენ გვშველიან მოკავშირეები? ისინი თავის ინტერესებს იცავენ და ჩვენზე სულაც არ ზრუნავენ.

კრება რამდენიმე წუთით შესწყდა რეზოლიუციის გამოსამუშავებლათ. კრების განახლებისას კენჭი უყარეს და ერთხმათ მიიღეს შემდეგი **რეზოლიუცია:**

„რადგან სურვილი გვაქვს შევკრათ ზავი, რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნება რუსეთის მთელი დემოკრატიისთვის, ვალათ ვრაცხთ გაცნობოთ, რომ ჩვენ როგორც რუსეთის რესპუბლიკის ნაწილი, საჭიროთ ვთვლით ზავისთვის მოლაპარაკების დაწყებამდის ნებართვა მივიღოთ დამფუძნებელ კრებისგან, რომელიც ამ დღეებში იხსნება. ჩვენს დეპუტატებს, რომლებიც დამფუძნებელ კრებაზე მიემგზავრებიან დავალებული ექნება ჩვენგან თქვენი წინადადება პირველ რიგში წამოაყენონ და პასუხი დაუყონებლივ გეცნობებათ თქვენ.

რეზოლიუციის შემდეგ თითქმის ერთხმათ მიიღეს ინსტრუქცია, რომლითაც ამიერ-კავკასიის კომისარიატს ევალება: მოლაპარაკება გამართონ ყველა მეზობელ ერებთან და აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოსთანაც.

**[illegible] პროექტს კითხულობს გობეჩია.**

არის ორი ცალკე პროექტი: ერთი ეხება 19 წლიანებს, მეორე 19-დან 32 წლიანებს. სამსახურის ვადა იქნება ექვსი თვე. იმსახურებენ სამაზრო ქალაქებში. შეღავათი არავის ექნება, გაწვეულნი იქნებიან აგრეთვე მოწაფეებიც. მხოლოდ დედმამის ერთად ერთი მარჩენალი იქნება თავისუფალი.

**ნ. რამიშვილი** (ს.-დ.) იცავს პროექტს, ამბობს, რომ ეს არის მილიციაზე გადასასვლელი საშუალება.

**ილ. ქარცივაძე** (ს.-რ.) პროექტის წინაალმდეგია, რადგან სხვას რომ თავი დავანებოთ, სურსათიც კი არ გვაქვს და რა უნდა ვაჭამოთ ამ ახალ შეკრებილებს, როცა ის მცირე რიცხოვანი ჯარიც კი ვერ გამოგვიკვებავს, რომელიც გვყავსო.

**მაკაროვსკიც** წინააალმდეგია, რადგან გაწვრთნასაც ვერ მოვახერხებთო.

**კ. ნინიძე.** მობილიზაციის წინაალმდეგია, რადგან ფრონტს ამ ჯარით სულ ერთია ვერ დავიცავთ, ოსმალეთი ამას ომისთვის გამოწვევათ ჩასთვლის და დროებით შერიგება ჩაიშლება. მით უფრო გაუგებარია მობილიზაცია, რომ ამ წუთში მივიღეთ რეზოლიუცია კავკასია დამოუკიდებელი არ არისო. თუ დამოუკიდებელი არ არის, როგორ შეუძლია მობილიზაციის გამოცხადებაო. გარდა ამისა მობილიზაცია ვერ გატარდება ცხოვრებაში. უმჯობესია საყოველთაო შეიარაღება, როგორც ეს შვეიცარიაშიაო.

**ჯუღელი** ასაბუთებს ქარცივაძის მიერ მოყვანილს საბუთს სურსათის უქონლობის შესახებ და მობილიზაციის წინააღმდეგია.

**ნ. ჟორდანია.** ტყვილა გვაშინებენ მობილიზაციით ნინიძე და კომპ. ეს არ არის მობილიზაცია, ეს არის ჯარში გაწვევა იმათი, ვინც სამსახურიდან გამოიპარა და აგრეთვე იმათი, ვისაც პრივილეგიები ქონდა. არც ახალი კანონია აქ. ჩვენ ვანხორციელებთ იმას, რაც იყო. თუ ასე არ მოვიქცევით ისინიც წავლენ სახლში, ვინც დღეს მსახურობს. ნინიძეს და სხვ. უნდათ რომ ჩვენ უიარაღონი ვიყოთ. საკვირველია, რომ ჩვენ ქართველებს გვაყენებენ ასეთ მდგომარეობაში, მუსულმანები ადგენენ კორპუსს, სომხები თითქმის მზათ არიან და რაღა ჩვენ, ქართველებმა უნდა ვთქვათ უარი.

**ელიავა.** ვერ გამიგია კითხვის ასე დასმა. სომხებს რომ გაუჭირდეთ, მე ვერ წარმომიდგენია ისეთი ქართველი, რომელიც არ დაეხმარება. საქმე ის არის, რომ იგრძნოს ქართველმა ხალხმა საჭიროება და ის თავის ნებით აიღებს ხელში იარაღს. ეს იქნება სოციალის...ტისთვის მისაღები ზომა და ...ვის მხარი უნდა დავუჭიროთ მილიციას. კამათის შეწყვეტის შემდეგ უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელ გობეჩიას, რომელიც ამბობს, რომ ჯარი საჭიროა, ხოლო ნებით არავინ არ წავა სამსახურში და ამიტომ საჭიროა ძალდატანებაო.

კითხვა ისმება შეაერთონ ორთავე პროექტი თუ ცალკ-ცალკე უყარონ კენჭი. 25 ხმით 22-ის წინაალმდეგ დაწყდა ორთავე პროექტისთვის ცალ-ცალკე კენჭის ყრა.

თუმცა კამათი შეწყვეტილი იყო, მაგრამ ზოგიერთები მაინც ითხოვდენ პროექტების ზოგიერთ მუხლების შესახებ კამათის გახსნას. ბოლოს დაადგინეს კრება გადასდონ სხვა დროისთვის, რათა ცენტრის წევრებს საშუალება მიეცეს პროექტების დაწერილებით გაცნობის.

ამნაირათ აღნიშნულ კრებაზე კითხვა ჯარში გაწვევის შესახებ გადაუჭრელი დარჩა.

დასასრულ კრებამ უკამათოთ მიიღო წინადადება ჩამოერთვას იარაღი ფრონტიდან სახლში მიმავალ ჯარისკაცებს.

## ამკ. პროფ. კავშ. პირველი კონფერენცია

### ყრილობის შემადგენლობა.

როგორც სამანდატო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ამიერ-კავკასიის 7 ქალაქი. თავის წარმომადგენლები გამოგზავნეს 57 პროფესიონალურ კავშირმა, რომლებშიაც შეკავშირებულია 94,242 წევრი. გარდა ამისა, ზოგიერთი პროფესიონალური კავშირი წარმოდგენილი იყო ყრილობაზე ბაქოსა და თფილისის პროფეს. კავშირთა ცენტრალურ ბიუროს საშუალებით, ამ ბიუროებში შეკავშირებულია სულ 79 პროფეს. კავშირი. სულ, მაშასადამე, კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 99 პროფ. კავშირი, რომლებშიაც შეკავშირებულია 1220,030 წევრი, ადგილების მიხედვით დელეგატები შემდეგ ნაირათ ნაწილდებიან: ბაქო—28 დელეგატი 22 პრ. კავშირისაგან, რომელთა წევრების რიცხვი უდრის 71,116 და 3 დელეგატი ც... ტრალურ ბიუროსაგან, რომელი... თებს 80 ათას მუშას, თფილის... ლეგატი 15 პრ. კავშირისაგა... წევრების რიცხვი უდრის ... დელეგატი ცენტრალურ ... რომელიც აერთებს 35 ათას ... თაისი—5 დელეგატი 12 ა... საგან, რომლებშიაც შეკავში... 2500 მუშა. გორი—1 დელეგა... კავშირისაგან, რომლის წევრთა ... უდრის 200, ბათომი—7 დელე... პრ. კავშირისაგან, რომელთა წ... რიცხვი 3225 უდრის. ჭიათურა—... ლეგატი 1 პრ. კავშირისაგან, რ... წევრთა რიცხვი უდრის 255, გ... მუშათა ასოციაცია—1 დელეგატი ... კავშირისაგან, რომელშიაც შეკავში... ბულია 850 მუშა. კონფერენციას დაესწრო სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუ... წევრი.

### სამრეწველო სასამართლოები და მუშათა „სეკრეტარიატები“.

27 დეკემბრის სხდომაზე ამხ. სლუც...კიმ გააკეთა მოხსენება მუშათა სეკრეტარიატებისა და სამრეწველო სასამართლოების შესახებ. მცირე კამათის შემდეგ ამ საკითხის შესახებ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „სოციალური კანონმდებლობის განვითარება ერთის მხრით, საკუთარ, მუშათა უფლების არცოდნა მეორეს მხრით—იძულებულჰყოფს პროფესიონალურ კავშირებს მოაწყონ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებთან მუშათა სეკრეტარიატები შეკავშირებულ მუშებსა და მუნიციპალიტეტების ხარჯზე. ასეთ მუშათა სეკრეტარიატების მთავარი დანიშნულება უნდა იყოს როგორც იურიდიულ დახმარების აღმოჩენა როგორც შეკავშირებულ, ისე შეუკავშირებელ მუშათა ფართო მასსისათვის, ისე მუშათა სპეციალურ კანონმდებლობის პოპულიარიზაცია. რაც შეეხება სამრეწველო სასამართლოებს, იღებს რა მხედველობაში იმ აუარებელ კონფლიქტებს, რომლებიც ხდება დაქირავებისა და ხელფასის შესახებ ხელშეკრულების დარღვევის ნიადაგზე და რომელთა გადაჭრა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს საშუალებით—კონფერენცია გამოსთქვამს სურვილს შემოღებულ იქნას კავკასიაში პარიტეტული სამრეწველო სასამართლოები, სადაც საქმის წარმოება იქნება უსასყიდლო“.

ამხ. გულოიანის რეზოლიუციამ, რომელიც მოითხოვს, რომ იურიდიული დახმარება მუშებს აღმოუჩინონ სახელმწიფოს ხარჯზე მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს დახმარებით—მიიღო მხოლოდ 4 ხმა.

### კოლექტიური ხელშეკრულება.

ამ საკითხის შესახებ 28 დეკემ... სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ...ლომა. ყრილობამ მიიღო შემდე... ზოლიუცია: „კონფერენცია სცნობ...

[illegible]

### საავადმყოფო კასები.

I

[illegible]

შედარებით დიდი დრო დასჭირდება, კონფერენცია მოითხოვს დაუყონებლივ იქნას გაფართოებული და გაუმჯობესებული არსებული დაზღვევის კანონები. დაზღვევის კანონები უნდა ვრცელდებოდეს ყველა სახის დაქირავებულ შრომაზე, დამზღვევ ამხანაგობებში უნდა შევიდეს მუშათა წარმომადგენლები და საავათმყოფო კასების ნივთიერი საშუალებანი უნდა შესდგებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მწარმოებლებზე დაწესებულ გადასახადისაგან.

II

კონფერენცია აღიარებს, რომ საავათმყოფო კასები, თუ მათი მოღვაწეობა მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული, ხელს უწყობენ მუშათა კლასს თავის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ბრძოლაში.

შრომისა და ცხოვრების პირობათა გაუმჯობესების საქმეში, ავათმყოფობათა თავიდან ასაშორებლათ, შრომის პირობების შესახებ სტატისტიკურ ცნობების შესაკრებათ და ავათმყოფობათა მიზეზების გამოსარკვევათ, შრომის ბაზარზე უმუშევართა რაზმის შესამცირებლათ, მუშებისათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენათ მუშათა სეკრეტარიატების დასაარსებლათ—კავშირებისა და კასების გაერთიანებულ მუშაობას თვით ცხოვრება გვიკარნახებს.

ამიტომ კონფერენცია მოუწოდებს პროფესიონალურ კავშირებს მიიღონ ენერგიული მონაწილეობა 1917 წ. 25 ივლისის კანონის თანახმათ საავათმყოფო კასების მოწყობის საქმეში, ამასთანავე უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებებით: 1) კასები უნდა მოეწყოს საერთო ადგილობრივ კასების სახით, 2) კასები უნდა გაერთიანდენ საოლქო და სრულიათ რუსეთის ცენტრებში, 3) საერთო კასებმა უნდა აიღონ თავის ხელში მუშების საექიმო დახმარების საქმე, 4) როცა საექიმო დახმარების საქმე გადადის საავათმყოფო კასის ხელში, მწარმოებელთა სამკურნალო დაწესებულებანიც უნდა გადავიდეს საავათმყოფო კასის ხელში უსასყიდლათ, თუ მწარმოებელს არ აქვს სამკურნალო დაწესებულება, ისინი აძლევენ კასებს საჭირო თანხას ასეთი დაწესებულებების მოსაწყობათ, 5) ის კასები, რომელთა გამგეობაში მიუხედავათ რეფორმებისა კიდევ იღებენ მონაწილეობას მწარმოებლები, დაუყონებლივ უნდა მოეწყონ მუშათა თვითმართველობის საფუძველზე, 6) გარდა ამისა უნდა განხორციელდეს კასების მოღვაწეობაში 25 ივლისის ყველა რეფორმები.

რომ მუშებისათვის სანიტარული და საექიმო დახმარება სავსებით უზრუნველყოფილი იქნეს, საავათმყოფო კასების განკარგულებაში უნდა გადავიდეს აბასთუმანისა და ბორჯომის სასახლეები და ომის გათავების შემდეგ საუკეთესოთ მოწყობილი საავათმყოფოები.

რომ მიზან შეწონილათ იქნას ცხოვრებაში გატარებული ყველა ეს ზომები არსებულ კასების საერთო ქალაქის კასაში გასაერთიანებლათ და ხელოსან და საამშენებლო დაწესებულებათა და წვრილ სახელოსნოთა მუშების კასებში მისაზიდავათ უნდა მოეწყოს საავათმყოფო კასების საქალაქო, საგუბერნიო და საოლქო თათბირები პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების დასწრებით.

დაბოლოს, საგუბერნიო დამზღვევი საკრებულონი, რომლებიც დღემდის არაფერს აკეთებენ, უნდა დაუყონებლივ გარდაიქმნან შრომის კომისარიატის მიერ ახალ საფუძველზე, რომელიც შეიმუშავა შრომის სამინისტრომ და დაამტკიცა დროებით მთავრობამ.

## სოც.-დემ. პარტიაში

**სოფ. კულაში.** 31 დეკემბერს მოხდა რ. ს.-დ. მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 400-ამდე წევრი. ამხ. ვ. ნ—რაძემ გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. მცირე კამათის შემდეგ კრებამ ერთხმათ (ორის წინააღმდეგ) მიიღო ამხ. პავლე წულაიას მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა საერთო კრებაზე მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, ჩვენ, სოფ. კულაშის ორგანიზაციის რ. ს.-დ. მუშათა პარტიის წევრები მეტათ არასასურველათ ვსცნობთ დღევანდელ პირობებში ლენინის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, რამაც გამოიწვია ძმათა შორის სისხლის ღვრა და მთლიან რუსეთის რამდენიმე ნაწილებით დაყოფა. ასეთივე ბედი ეწვია კავკასიასაც. ანარქიის თავიდან ასაცილებლათ და რევოლიუციონურ წეს-რიგის დასაცავათ ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ მოაწყო დროებითი მთავრობა, რომელიც მოქმედობს დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. ამიტომ ჩვენ ნდობას ვუცხადებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, ვასრულებთ მის განკარგულებებს და აღუთქვამთ მას ყოველგვარ დახმარებას. ამასთანავე სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ დამფუძნებელ კრების წევრთა თათბირის გარეკის წინააღმდეგ და მოვითხოვთ დაუყონებლივ იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა აღადგინოს რუსეთის მთლიანობა და გადასჭრას ხალხის სასარგებლოთ რევოლიუციის მიერ წამოყენებული ძირითადი კითხვები".

**შემოქმედი** (გურია). 16 დეკემბერს შესდგა შემოქმედის რაიონის ს.-დ. მუშათა პარტიის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო საკმაო რიცხვი წევრებისა. თავმჯდომარემ გააცნო კრებას 16 დეკემბრის ოზურგეთში სახალხო მიტინგზე ბალშევიკების გამოსვლის შესახებ წარმოთქმულ სიტყვების შინაარსი. ამხ. ს. ჭანუყვაძემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა პარტიის წევრთა მოვალეობის შესახებ და მოუწოდა პარტიულ ამხანაგებს ყოველთვის დაესწრონ კრებას. ამის შემდეგ გაარჩიეს შემდეგი კითხვები: 1) პარტიაში წევრების მიღება, 2) კოლექტივის წევრთა დამატებითი არჩევნები, 3) შკოლის საკითხი. კრებამ დაადგინა, ვინც არ გამოცხადდება პარტიულ კრებაზე, მოეთხოვოს მას ამის მიზეზები. კოლექტივის წევრებათ აირჩიეს: ამხ. ი. ფირცხალაიშვილი, ს. ხურაბაშვილი, ლ. სადრაძე და ყარამან ქარცივაძე. სკოლის ასაშენებლათ საჭირო ფულის შემკრებ კომისიას დაევალა მიიღოს ზომები, რომ დაჩქარებით შეკრიბონ ეს ფული.

## მუშათა შორის

**თფ. საქონლის სადგური.** ბევრჯერ დაიწერა, ბევრჯერ ითქვა, მაგრამ თფილისის საქონლის სადგურის მუშებს რკინის გზის ადმინისტრაციამ არავითარი ანგარიში არ გაუწია. ყურადღება არ მიაქცია. მუშებმა გადაიტანეს ბევრი უუფლებობა და ნივთიერი გაჭირვება. ეს იმიტომ, რომ მიზნათ ჰქონდათ გაემაგრებიათ რევოლიუცია. ამისთვის მუშებმა ყოველივე მოთხოვნილებანი გადასდვეს და ხელი მიჰყვეს საერთო საქმის გამაგრებას. თფილისის საქონლის სადგურის მუშები დარწმუნებული იყვენ იმაში, რომ დღეს, ამ არევ-დარევის ხანაში რკინის გზა ზარალობს. მუშებმა ბევრი ითმინეს და დღესაც ვითმენთ და არავინ იცის როდის მოეღება ბოლო ამას. დღეს ჩვენი ჯამაგირია 145 მანეთი. იმ დროს, როდესაც სიძვირე უმაღლეს წერტილამდე ავიდა. ჯამაგირი ბინას და მარტო პურს უდრება, ახა გაუნაწილეთ აქაური ჯამაგირი შვიდ რვა სულს ოჯახისას და დაინახავთ თუ რა მდგომარეობაში ყოფილან მუშები. ამას გარდა არ არის ჩვენთვის „ოტპუსკები", არ არის ჩვენთვის ის უფლებები, რომლითაც რკინისგზის სხვა მოსამსახურენი სარგებლობენ. ჯამაგირი, რომელიც უნდა დარიგდეს თვის პირველში, გვირიგებენ თვის თვრამეტში. განა მეტი აბუჩად აგდება და დამცირება შეიძლება? ნუ თუ ჩვენ არ უნდა ვსარგებლობდეთ ისე, როგორც სარგებლობენ სხვა მოსამსახურეები? აქაური მუშების მუშაობა აუტანელია და უფლებით და ჯამაგირით არაფერს არ წარმოვადგენთ. ასეა იმიტომ, რომ დღეს არავითარი ცვლილება და არავითარი გაწმენდა არ მომხდარა რკინის გზის სამმართველოში. საჭიროა ამ ჩვენს უუფლებობას და აბუჩად აგდებას ყურადღება მიექცეს, სანამ თფილისის საქონლის სადგურში შეჩერდებოდეს მოძრაობა და მუშები მოთმინებიდან გამოვიდოდენ. ამ გარემოებას სწრაფი ანგარიშის გაწევა ესაჭიროება, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება.

საშა ქრისტინეშვილი.

## პროვინცია

**ჯევათის მაზრის** (ბაქოს გუბერნია) **გლეხთა ყრილობა.** 15 დეკემბერს ქ. სალიანში შესდგა ჯევათის მაზრის გლეხთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო 45 დელეგატი. ძალზე გავრცელებულ ძარცვა-გლეჯის გამო ყრილობას ვერ დაესწრო ზოგიერთ სოფლების წარმომადგენლები.

განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) ჯევათის მაზრის დაცვა როგორც შინაურ, ისე გარეშე საფრთხისაგან; 2) მთავრობის ორგანოების და გლეხთა საბჭოს მოწყობა მაზრაში; 3) მიწის საკითხი; 4) წყლის საკითხი; 5) მიმდინარე კითხვები.

ყრილობის თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. ოქრო ლაცაბიძე; თავმჯდომარის ამხანაგებათ—ა. გ. ალიევი და ტ. სუხორუკოვი; მდივნათ—ნიკიტინი. სხდომის დაწყებისას თავმჯდომარის წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საერთო საქმისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ამის შემდეგ თავმჯდომარემ განუმარტა დამსწრეთ, თუ რა საშიშ და კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება მთელი რუსეთი და კერძოთ კავკასია და მოუწოდა ყრილობას სოლიდარულ, შეკავშირებულ მოქმედებისაკენ.

მაზრის დაცვის საკითხის განხილვის დროს გამოირკვა, რომ გარდა შახსევანებისა, რომლებიც სპარსეთიდან არიან გადმოსული, ძარცვა-გლეჯას ეწევიან აგრეთვე ადგილობრივი ავაზაკებიც და სისტემატიურათ აწიოკებენ როგორც მუსულმანთა, ისე რუსების სოფლებს. დიდ ზარალს აყენებენ მომეტებულათ შახსევანები, რომლებიც დარაჯების მიერ სპარსეთის საზღვრების დატოვების შემდეგ გადმოვიდენ მთელ მუღანლოს ველზე აქლემების ჯოგებით, ცხვრის ფარებით და მთლათ ანადგურებენ პურისა და ბამბის ყანებს. ასეთი გარემოება კი ისედაც დამშეულ მაზრას სამერმისოთ შიმშილის კარამდე მიიყვანს. გარდა ყანების აოხრებისა, შახსევანები ეცემიან სოფლებს, აწიოკებენ მათ, აუპატიურებენ ქალებს. ამის გამო რამდენიმე სოფელმა მიატოვა ნაამაგარი სახლ-კარი და სხვაგან გადასახლდა. ამ საკითხის შესახებ ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) აუცილებლათ დაიხუროს სპარსეთის საზღვარი ან მოსული ჯარის, ან ადგილობრივი შეიარაღებული მცხოვრებლების დახმარებით; 2) შიგნით კი, მაზრაში, დაიგზავნოს პროპაგანდისტები, როგორც მუსულმანთა, ისე რუსთა სოფლებში მცხოვრებთა შორის თანხმობისა და სოლიდარობის გასამტკიცებლათ და 3) გაიმართოს მოლაპარაკება შახსევანებთან, რომ მათ მშვიდობიანათ დასტოვონ მუღანლოს ველი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართულ იქნას მათ წინააღმდეგ შეიარაღებული ძალა.

ადგილობრივი ქურდებისა და ავაზაკების დანაშაულობა უნდა დაამტკიცოს ჯევათის გლეხთა საბჭომ. დამნაშავეებს აყრიან იარაღს და სამი თვით ციხეში დაატუსაღებენ.

ადგილობრივი თავდაცვისათვის ბაქოს გუბერნიის კომისარის განკარგულების თანახმათ ყრილობამ დაადგინა არჩეულ იქნას ყველა სოფელში ოც კომლზე თითო მილიციონერი და არა ნაკლებ სამისა თითო სოფელში. რადგანაც მთელი მაზრა სამი წლის მოუსავლობის გამო ჩავარდნილია უმწეო მდგომარეობაში, ყრილობამ დაადგინა მილიციონერების ჯამაგირი ეთხოვოს სახელმწიფოს.

რაც შეეხება მთავრობის ორგანოებს, გამოირკვა, რომ მხოლოდ რამდენიმე სოფელში თუ მოიპოვება დემოკრატიულ საფუძველზე აგებული ასეთი ორგანოები. დანარჩენ სოფლებში კი ისევ ძველი მთავრობის მოხელეებს მოუკალათებიათ და აძრობენ ტყავს მცხოვრებლებს.

ყრილობამ აირჩია სამაზრო გლეხთა საბჭო, უკანასკნელმა კი გამოჰყო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც დაევალა მთელი მაზრის ყველა დაწესებულებათა მოქმედებისათვის კონტროლის გაწევა თავის წარმომადგენლების საშუალებით.

მიწის და წყლის საკითხის გარჩევა გადაიდო შემდეგი ყრილობისათვის, ვინაიდან იმ დღეებში ამიერ კავკასიის კომისარიატი ამზადებდა ამ საკითხების შესახებ დეკრეტს. ყრილობამ მოისმინა რა ცნობა ბალშევიკების გამოსვლის შესახებ, დაადგინა სასტიკი პროტესტი განაცხადოს დამფუძნებელ კრების დეპუტატთა თათბირის გარეკის წინააღმდეგ და მოითხოვა რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება, რომელსაც აღუთქვა ყოველივე დახმარება. ყრილობამ ნდობა გამოუცხადა აგრეთვე ამიერ კავკასიის კომისარიატს და დაადგინა შეასრულოს ყოველივე მისი განკარგულება და აღმოუჩინოს მას დახმარება.

ყრილობის სხდომები ორ დღეს გაგრძელდა.

ოქრო მაშოშვილი.

**ქ. ლანჩხუთი.** 22 დეკემბერს, ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიის შენობაში მოხდა ქუთაისის დირექციის სახალხო მასწავლებელთა კავშირის ლანჩხუთის ფილიალურ განყოფილების საზოგადო საგანგებო კრება. კრებამ მომენტის შესახებ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ბალშევიკების ანარქიულმა გამოსვლამ, რომელიც რამდენიმეთ გამოწვეული იყო კერენსკის მთავრობის და მემარჯვენე სოციალისტურ ჯგუფების პოლიტიკით, რევოლიუცია თავის გზას გადაასცდინა, დემოკრატიული რაზმი გათიშა, ძმათა შორის სისხლის ღვრა გააჩაღა და ყველა ამით კონტრ-რევოლიუციას და ვილჰელმის ანექსიონისტურ მისწრაფებებს ფართო ნიადაგი მოუმზადა. ერთად-ერთი მხსნელი რევოლიუციისა, მთელი ხალხის ნება-სურვილის ჭეშმარიტი გამომხატველი იყო დამფუძნებელი კრება, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა დემოკრატიის უდიდეს მოთხოვნილებას. ბალშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკა არის უდიდესი დანაშაულობა მთელი დემოკრატიის წინაშე, ეს გათელვაა ხალხის მიერ სისხლით მოპოვებული უფლებისა და უდიდესი შეურაცხყოფა თვით ხალხისა. ასეთი დანაშაულობა არის დემოკრატიული თვითმმართველობათა გარეკა, სოციალისტურ პრესის შევიწროება, სოციალისტურ მოღვაწეების წინააღმდეგ ჟანდარმული ბრძოლა და ტერორის გამეფება. ვაცხადებთ უსასტიკეს პროტესტს და ულრმეს აღშფოთებას ასეთ ძალმომრეობის წინააღმდეგ და მოვითხოვთ დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას. ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც შედგენილია რევოლიუციონური ცენტრის მიერ, რომელიც აერთებს მთელი ამიერ კავკასიის დემოკრატიას და იცავს მას ანარქიისა და ყოველმხრივი განადგურებისაგან, წარმოადგენს ნამდვილ სრულუფლებიან მთავრობას ჩვენში, ამიტომ ბალშევიკების ბრძოლა მის წინააღმდეგ არის განმეორება მათი ანარქისტული ავანტიურისა. ჩვენ სრულ ნდობას ვუცხადებთ ამიერ კავკასიის კომისარიატს და შევებრძოლებით ყოველგვარ ძალადობას მის წინააღმდეგ. ამასთანავე ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს ამიერ კავკასიის მუშათა მოძრაობის და მთელი ქართველი დემოკრატიის სასიქადულო ბელადის ნოე ჟორდანიას შეურაცხყოფის გამო. ლანჩხუთის ფილიალური განყოფილების მასწავლებელთა კრება მოვალეთ რაცხს თავს ენერგიულად ემსახუროს რევოლიუციონურ დემოკრატიის გამარჯვებას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

**სუფსა.** არა ერთხელ იყო აღნიშნული გაზეთებში იმ უწესოების შესახებ აქ სამკითხველოში რომ ხდება, მაგრამ საქმეს არა ეშველა. სცენის მოყვარეები სამკითხველოში მართავენ რეპეტიციებს, თუმცა არსებობს ცალკე თეატრის დარბაზი. საჭიროა გამგეობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

ჩაგრული.

## ცნობები

### ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარის-კაცი შალვა იოსების ძე როყუა (ჯუმათის საზ. გურია), მსახურებდა მე-223 სათადარიგო პოლკში, მე-5 როტაში. წელიწად-ნახევარია მას შემდეგ, რაც მის მშობლებს არავითარი ცნობა არ მიუღიათ მისგან. ვსთხოვ ყველა ამხანაგებს, თუ რამე იციან მის შესახებ გვაცნობონ გაზ. „ერთობის" საშუალებით.

აკაკი პაპავა.

## ჩვენი ფოსტა

**ქუთაისი.** ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარეს. თქვენი ღია წერილი არ იბეჭდება. ასეთი წერილით მიმართეთ პირდაპირ თვით „გოკიელოვის შვილების" სავაჭროს ყოფილ მოსამსახურეებს.


სამკურნალო კ[...]
ექიმი ალექსანდრე და[...]

კეკელი[...]

მიიღება კანისა, ვენერიულისა [...] ლისიანი ავათმყოფები. (914-ს [...] შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღე[...] საათამდე საღამოთი. მიხეილის პრ[...] ტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირ[...]

ტელეფონი 14—28.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენ[...] ულ ავათმყოფობით, სიფილისი და [...] შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკ[...] მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. [...] ღამის 5—7 საათამდე გარდა კვირი[...] გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი
ნ. პ. რუხაძე
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფე[...] ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებ[...] საღამოს 6-დან 8 საათამდე. მიხე[...] პრ., № 78; ბინა 2.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბ[...] ბისა, დაარსებული
გ. ხაიკინა-შინკარე[...]
მიერ, თფილისი, მიხეილის პრ., [...] ავათმყოფები მიიღება გან[...]
დღით და ღამით,
ღამით მორიგეობა ექ[...]

ექიმი ვ. გ. ვე[...]
ტომსკის უნივერსიტეტის [...] ნიკის ორდინატორათ [...] ავათმყოფებს კანისა [...] სნეულებით ყოველ დღ[...] თამდე, ვარანცოვის ქ[...] რაზიეზდის ქ[...]

ექიმი პ. ი[...]
შინაგან და ბ[...] ავათმყოფებს მიიღებს [...] მოს 5—6 ს., კვირა [...] ქსენიევის ქუჩა, № 4, სას[...] ლის გვერდით. ტელ. 1[...]

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ სა[...] მოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარ[...] მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № [...] აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პ[...] დაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფ[...] № 5—77.

ქართული უნივერსიტეტი
თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში
ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიტარ მეცნიერებათა განყოფილება [illegible]

[illegible]

ბ. კანცელარია Грузинского Университета. Тифлисъ, здание Грузинской гимназии.
ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: პ. მელიქიშვილი. ივ. ჯავახიშვილი.
(15—6)

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. უფასო დღიურ გაზეთ
„სოციალ-დემოკრატ"-ზე
ხელის მოწერის პირობები:
[illegible]
მისამართი: Кутаисъ, почт. ящ. № 9 Тутку Гвараміа.

ავლაბრის მცხოვრებთ
მოქალაქენო!
[illegible]
11 საათზე, [illegible]
საერთო კრება
[illegible]
დროებითი კომისია.